საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 აგვისტო, 2012 წელი.

№156 (7032)

იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვაა, ფაქიზებით და ჭიანებით ბეჭთის გაგანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლების მორიგი შავი პიარი ველარ ჭრის

3

ალასანია ზუგდიდის მაჟორიტარად წარადგინეს

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. ზუგდიდში ალასანიას მაჟორიტარად წარდგენისას ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას კარგი ბიოგრაფია აქვს, მამასთან ერთად თავადაც იბრძოდა აფხაზეთის ომში და კარგად იცნობს ადგილობრივების პრობლემებს.

ივანიშვილმა პირობა მისცა ზუგდიდელებს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებენ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის დასაქმება და ტერიტორიების დაბრუნება იქნება.

— ამ ხელისუფლებას არ უნდა თავისუფალი ხალხი, ჩვენ ხალხს დავუბრუნებთ თავისუფლებას, მოემზადეთ გამარჯვებისთვის,— განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ბიზნესის თავისუფლება იქნება. „ჩვენ ამას შევასრულებთ!“

„ქართული ოცნების“ ლიდერმა აღნიშნა, რომ კოალიციის მიერ განხორციელებული „კარდაკარისას“ გამოჩნდა, რომ სამეგრელოში ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

ირაკლი ალასანიამ კი, მხარდამჭერებს არჩევნებში გამარჯვების პირობა მისცა.

ოთხი წელი ცხინვალის ომიდან

5

ვაშა, მიშულენდად ქცეულ საქართველოს!

მოსავალი, რომელიც სტიქიას გადაურჩა, გვალვისგან ილუპება



4

უამინდობის გამო თხილისა და სიმინდის დაბალი მოსავალია



ერევნის ბილეთები არ არის!

8

კალაძის საქმეზე აღსრულების პროცესი არ დაწყებულა

კახი კალაძის საქმესთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს, მაგრამ ეს იძულებითი აღსრულების პროცესი არ არის, — ამის შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს პრესსამსახურში განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, სააღსრულებო პროცესი იძულებით ხასიათს იმ შვიდდღიანი ვადის გასვლის შემდეგ მიიღებს, რომელიც კახი კალაძეს დაკისრებული ჯარიმის გადახდისთვის განესაზღვრა.

— სასამართლოდან ჩვენთან გუშინწინ შემოვიდა სააღსრულებო ფურცელი, რომლის შესაბამისადაც დაიწყო აღსრულების პროცესი, თუმცა ის იძულებითი ხასიათის არაა, როგორც ამას შალვა თადუმაძე აცხადებს. გუშინწინვე მომზადდა შეტყობინება და ის ადვოკატ თადუმაძეს ჩაბარდა. შესაბამისად, კალაძეს სააღსრულებო შეტყობინების ჩაბარებიდან განესაზღვრა ჯარიმის გადასახდელად 7-დღიანი ვადა, — განაცხადეს აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აქვე განმარტეს, რომ იძულებითი აღსრულება სწორედ აღნიშნული 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაიწყება. რას ითვალისწინებს იძულებითი აღსრულების პროცედურები, უწყებაში არ დააკონკრეტეს. რაც შეეხება კალაძისთვის დაკისრებულ ჯარიმაზე სააღსრულებო საფასურის დარიცხვას, როგორც აღსრულების ეროვნულ ბიუროში ამბობენ, „ეს ჩვეულებრივი პროცესია“.

თბილისის ცენტრში რკინიგზის გაუქმება დიდი შეცდომაა!

6

◎ ᲔᲭᲕᲔᲑᲘ

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲓ „ᲒᲐᲓᲐᲪᲛᲣᲚᲘ“ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ?!

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ–ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲛᲖᲐᲙᲕᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲔᲭᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲣ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲕᲘᲦᲔᲑ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲦᲕᲠᲔᲑᲐᲝ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝᲡ.

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲛ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲭᲕᲡ ᲐᲩᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ კი, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲡᲡ-ᲨᲘ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲜ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜᲔᲡ. ᲧᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, for.ge-Ს ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲡᲡ-ᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲘᲒᲘᲒᲛᲔᲑᲐ.

ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲩᲣᲛᲐᲓ ᲒᲐᲙᲔ�თᲓᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲡᲡ-ᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲨᲘᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ, ᲐᲛ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲡᲡ-Ს ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲒᲐᲬᲕᲠᲗᲜᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲨᲡᲡ-ᲖᲔ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲜ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ.

ᲕᲔᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲝᲣᲮᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲡ.

ᲐᲡᲔᲐ თუ ᲘᲡᲔ, ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲚᲝᲚᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲘᲒᲔ�გᲛᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲡ. ᲪᲮᲐᲓᲐ, ᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ

◎ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ!

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ“ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲔᲑᲘ „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘ“) ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲮᲐᲚᲮᲡ „ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ... „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ, ᲘᲛ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲔ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐ“ ᲕᲣᲬᲝᲓᲔ.

... „ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ“ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ კი, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ „ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ წინ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲮᲐᲚᲮᲡ „ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ... „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ, ᲘᲛ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲔ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐ“ ᲕᲣᲬᲝᲓᲔ.

ᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲪᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲝᲖᲣᲜ�გᲘᲗ: „ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ“.

ᲛᲝᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ თუ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ:

- **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** — „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, „ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.
- **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ, „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ.
- **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲔᲒᲔᲜᲐᲕᲐ** — „ᲤᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲠᲐᲓ“ ᲐᲚᲘᲐᲠᲑᲔᲣᲚᲘ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ „ᲜᲐᲪᲛᲝᲡ“ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲐ.
- **ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲗᲐ“ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ, ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ.
- **ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ** — ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲥᲪᲔᲕᲐᲠᲘ“.

ᲗᲣ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ-ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ. ᲛᲔ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲔᲚᲩᲔᲑᲡ „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲛᲝᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘ ?!

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ „ᲤᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲡ“...

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲙᲝᲜᲚᲝ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲘᲑᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ კონტროლი დაანესა ოპოზიციის პარტიულ თუ პერსონალურ ანგარიშებზე.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ — ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲝᲗ „ᲛᲝᲥᲚᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲣᲚᲘ „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ?

ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲣᲚᲣᲐ?

ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲣᲚᲣᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲠᲗᲔᲠᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐᲡᲨᲘ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲐ, ᲗᲣ ᲡᲐᲓ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲘᲠᲘ. ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ-ᲒᲣᲚᲣᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲠᲪ „ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“, ᲐᲜᲣ ᲒᲣᲚᲣᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ.

ᲒᲣᲚᲣᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, from.ge-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲖᲔ ᲛᲝᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲡ ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲣᲚᲣᲐᲛ?

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲡᲘᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲣᲐ-ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐᲡ ᲢᲐᲜᲓᲔᲛᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ. ᲗᲣ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐᲡ ᲞᲐᲠ

◎ ნაციონალების ბეცი პოლიტიკა

ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილსა და მისი კოალიციის წევრებს რუსეთუმეებს და ქვეყნის გამყიდველებს უწოდებს. ცნობილი ხდება, რომ ივანიშვილის შესახებ პროვოკაციული ფილმი მზადდება და მასზე ხელისუფლების საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენლები მუშაობენ. „შავი პიარის“ ახალი ტალღის აგორების შესახებ facebook-ის საკუთარ გვერდზე კახი კალაძეც წერდა. იგივე თემაზე აქვეყნებს სტატიას გაზეთი „რეზონანსი“, რომელსაც ამასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ წევრის ელისო ჩაფიძის კომენტარი მოჰყავს.

„უახლოეს დღეებში ძალიან ბევრი სიურპრიზის მოწმეები გავხდებით. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ისინი ძალიან ბინძურ ფილმებს ამზადებენ და ბევრ სხვა რაღაცასაც. დარწმუნებული ვარ ეს ბიძინა ივანიშვილის და კახი კალაძის წინააღმდეგ იგეგმება, იმიტომ, რომ ეს ადამიანები გამოიკვეთნენ, როგორც ყველაზე მაღალრეიტინგული ლიდერები.

— ვინ მოამზადა 7 ნოემბერთან დაკავშირებით კლიპი?

— აღიარა კიდეც თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომ ეს დანაშაული იყო, მაგრამ არავინ დასჯილა. კონკრეტული სახელები და გვარების დასახელება გამიჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგივე გუნდი აკეთებს ამ სიბინძურეს. ეს იქნება პრეზიდენტთან დაახლოებული რამდენიმეკაციანი საბჭო, რომელთა წევრებიც ძალიან ბევრ ბინძურ რამეს კადრულობენ წინასაარჩევნოდ. მათ მანამდეც სცადეს ქალბატონ მანანა კობახიძესთან დაკავშირებით აეგორებინათ რაღაც სისულეები, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩინეს. ყველა ჩვენგანი კარგად აცნობიერებს იმას, რომ ვართ დარტყმის ქვეშ, მაგრამ ჩვენს მომხრეებს ასეთი სიბინძურეების არ სჯერათ“, — აცხადებს „რეზონანსის“ კორესპონდენტთან საუბრისას ელისო ჩაფიძე.

ამის პარალელურად საკმაოდ პროვოკაციულ ინფორმაციას ავრცელებს „სამეგრელოს მედიაორგანიზაცია“. მისი თქმით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად დაიწყო ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პიარკამპანია.

„იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსი ოკუპანტები აფხაზებთან ერთად პატრულირებენ და ქართველებს „საზღვრის“ გადაკვეთის გამარტივებას ჰპირდებიან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს და მის წინა დღეებში, იმ პირობით, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის კოალიციას მისცემენ ხმას. ადგილობრივები შესაძლო პოლიტიკურ გარიგებაზე მიანიშნებენ და აცხადებენ, რომ გალში, სოხუმსა და აფხაზეთში ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება რუს ოკუპანტებთან ერთად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა არჩევნებზე მხარი სწორედ ბიძინა ივანიშვილს დაუჭირონ. მათივე თქმით, რუსი ოკუპანტები და აფხაზი მარიონეტები ადგილობრივებს გზის გახსნას და თავისუფალ გადაადგილებას სექტემბრის შუა რიცხვებიდან ჰპირდებიან“, — წერს სამეგრელოს მედიაორგანიზაცია.

აქვე ვკითხულობთ, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადებების თანახმად, საჭიროა აფხაზური და ოსური მხარეების აღიარება კონფლიქტის მხარეებად და მათთვის ბოდიშის მოხდა.

„საკუთარი გუნდის წარდგენის დროს, 2012 წლის თებერვალში, გარემოცვის ერთ-ერთი წევრის გურამ ოდიშარიას წარდგენისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა:

„გურამ ოდიშარია — ცნობილი სოხუმელი მწერალი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებებში“, — ნათქვამია სამეგრელოს მედიაორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, ეს ის ორგანიზაციაა, რომლის ჟურნალისტებიც ტელეკომპანია „მეცხრე არხისა“ და სააგენტო „ინფო9“-ს ჟურნალისტებს დასდევენ და მაპროვოცირებელ კითხვებს უსვამენ. თავისუფალი მედიასაშუალებები კი ამ ორგანიზაციას ხელისუფლების დაკვეთის შესრულებაში ადანაშაულებენ.

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძე სამეგრელოს მედიაორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პროვოკაციას და აბსურდს უწოდებს, ხოლო თავად ამ მედიაორგანიზაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფად მოიხსენიებს.



„საერთოდ გაურკვეველია, ეს რა ორგანიზაციაა, რომელიც დესტრუქციულ ქმედებებშია შემჩნეული. მისი წარმომადგენლები დადიან და ჟურნალისტებს ავიწროებენ. დარწმუნებული ვარ, რომ სამეგრელოს მედიაორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს რაღაც ქვედანაყოფია. თუკი გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს რუსები და აფხაზები საზღვარზე გადმოსვლის გამარტივებას ჰპირდებიან იმ პირობით, რომ ისინი არჩევნებში ბიძინა ივანიშვილს დაუჭერენ მხარს, მსგავსი ინფორმაცია შეიძლება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ იყოს გავრცელებული, სწორედ იმისთვის, რომ სეპარატისტებთან, ან თუნდაც რუსებთან გარიგება დაგვაბრალონ.

აქვე აღვნიშნავ, რომ აფხაზები არიან ჩვენი ძმები, რომლებთანაც კავშირის აღდგენა გვინდა. ჩვენ აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ აფხაზები და ასევე აფხაზეთის ტერიტორია. ჩვენ კონფლიქტი გვაქვს რუსებთან და არა აფხაზებთან, ან ოსებთან“, — აცხადებს მანანა კობახიძე.

აქვე იგი დასძენს, რომ თუკი აფხაზებს გაუჩნდათ სურვილი, რომ მათ კავშირი დაამყარონ ახალ ძალასთან, რომელსაც საქართველოს ჩიხიდან გამოყვანა სურს, ანუ „ქართულ ოცნებასთან“, ამაში ცუდი არაფერია.

„ჩვენ სწორედ ამას ვამბობთ, რომ ჩვენს ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან აღვადგენთ ურთიერთობას. ამაში ცუდი არაფერია, მათთან ურთიერთობის გარეშე ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. პირიქით, თუკი „ქართულ ოცნებაში“ დაინახეს ის ძალა, რომელთან ურთიერთობაც მათ სურთ, ეს მისასალმებელია. აქ რუსეთი არაფერ შუაშია. ეს ყველაფერი უბრალოდ შავი პიარია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ეწევა, თითქოს ის რუსეთთან არის გარიგებული, მაგრამ ხალხმა ძალიან კარგად იცის ყველაფერი და ამ ხელისუფლებას არაფერი გამოუვა“, — ამბობს კობახიძე.

„ქართული ოცნების“ წევრი, მწერალი გურამ ოდიშარია ამბობს, რომ არსებობს ინფორმაცია, აფხაზეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებების შესახებ, — ისინი ამბობენ: საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ვერ ვითანამშრომლებთ და სხვა ხელისუფლება თუ მოვიდა ქვეყნის სათავეში, მასთან დიალოგს გავმართავთო. ხოლო რაც შეეხება ინფორმაციას, თითქოს იქ ვინმე ადგილობრივ მოსახლეობას ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს, ასეთი რამ ოდიშარიას არ სმენია. ზოგადად კი იგი ამბობს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ძალიან ჭრელია.

„იქ არიან ადამიანები, ვისაც საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგის გაგონებაც კი არ სურთ. ამასთანავე, არიან ადამიანებიც, ვინც თვლის, რომ ქართველებთან უნდა ისაუბრონ, რადგან დიალოგი ჯობია ომს. არიან ისინიც, ვინც აფხაზეთში რუსების გაძლიერებით შეევიწროებულები და შეწუხებულები არიან და ამიტომ, ცდილობენ ქართველებთან დიალოგის რაიმე გზა გამონახონ. ჩვენთანაც სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა აფხაზეთთან, ასევე იმ ომთან დაკავშირებით. ამიტომ, ჩვენ ვგავართ აფხაზებს, საუკუნეების განმავლობაში ტყუილად არ ვიყავით ერთად“, — აცხადებს გურამ ოდიშარია.

სამეგრელოს მედიაორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი მწერალს საბჭოთა კავშირის დროინდელ პროპაგანდას ახსენებს, როდესაც ამბობდნენ, როგორი ცუდია კაპიტალიზმი, როგორი ცუდია ამერიკა და რომ კარგები მხოლოდ კომუნისტები არიან. აქვე ოდიშარია იხსენებს, რომ ამ პროპაგანდას ზუსტად იმის საპირისპირო შედეგი მოჰქონდა, რასაც მაშინდელი ხელისუფლება გეგმავდა.

„ამ პროპაგანდის წყალობით ჩვენ უფრო გვაინტერესებდა, ვინ არიან ამერიკის პრეზიდენტები, ვუსმენდით იქაურ მუსიკას, ვიცვამდით ამერიკულ ჯინსებს და ამერიკულ საღეჭ რეზინს ვღეჭავდით. იმის თქმა მინდა, რომ სამეგრელოს მედიაორგანიზაციის პროპაგანდა პრაქტიკულად არის გუშინწინდელი დღე, საბჭოთა ჟურნალისტიკის გამოძახილი. რა თქმა უნდა, მათ სპეციალურად აძლევენ ასეთ დავალებებს. სჯობს იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, რომ ყველა სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის ენერგომატარებლები და წყლის მომწოდებელი ორგანიზაციებიც რუსეთისთვის გვაქვს მიყიდული. ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ, რადგან ჩვენს სამშობლოს ასეთი უსახური მოქმედებები უბრალოდ არ ეკადრება, რასაც ეს ორგანიზაცია აკეთებს“, — ამბობს მწერალი.

აქვე იგი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ის სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატია, მუდმივად ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას და ამდენად, იქაურ განწყობას კარგად იცნობს. ამაზე დაყრდნობით, გურამ ოდიშარია აცხადებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე ვერ ჭრის საახელისუფლებო პროპაგანდა, რადგან ინფორმაცია უკვე ყველას აქვს იმის შესახებ თუ ვინ არის ბიძინა ივანიშვილი და რა სიკეთე აქვს მას ქვეყნისთვის გაკეთებული.

ნინო ულენტი

◎ ხელოვნური ბარიერი

გადაჭრის პრობლემას ხელისუფლება ორშაბათამდე?

რაზომ „ბრიალებენ“ საქართველოში უცხოელი მძღოლები, ქართველები კი რად იჩაგრებიან?

ხელისუფლების გაუაზრებელი და უსამართლო გადაწყვეტილების გამო გადამზიდავი კომპანიების მძღოლებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ“, — ამ შინაარსის განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ფოთის მაჟორიტარმა კანდიდატმა ეკა ბესელიამ გადამზიდავი კომპანიების „გეოტრანსის“, „ოშიანეთ ჯორჯიას“ და „გლობალ ლინკის“ მძღოლებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ბესელიამ აღნიშნა, რომ გადამზიდავები, მონოპოლისტური ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ბოლო ორი თვეა, გაჩერებულები არიან და ვერ მუშაობენ. მძღოლები ელოდებიან გადაწყვეტილებას, როდის მისცენ მუშაობის უფლებას.

„ხელისუფლება ჰპირდება მოსახლეობას, რომ პირველ რიგში, სამუშაო ადგილებს შექმნის და გადაჭრის უმუშევრობის პრობლემას. ამის სანაცვლოდ ყოველდღიურად იზრდება უმუშევართა რიცხვი. ჩვენ კვირის ბოლომდე ვაძლევთ ვადას, რათა გადაწყდეს ეს პრობლემა და მძღოლებს მისცენ საშუალება, კეთილსინდისიერი შრომით არჩინონ ოჯახები. თუ ორშაბათისთვის კონკრეტული დადებითი პასუხი არ იქნება, ჩვენ დავგეგმავთ საპროტესტო ღონისძიებებს, მანიფესტაციებს“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

დეპუტატობის კანდიდატს აინტერესებს, სად არიან შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც თავად ხედავენ, რომ ფოთში ამ რაოდენობის გადამზიდავი მანქანა არის გაჩერებული და მძღოლებს სამუშაო არ ეძლევათ. ეკა ბესელიას თქმით, ყველა კომპანიას მისცეს გაფრთხილება, ავტომანქანით არ გადაიტანონ ტვირთი.

ბესელიამ, კოალიცია „ქართული ოცნების“ სახელით მხარდაჭერა გამოუცხადა მძღოლებს და დასძინა, რომ პრობლემის გადაწტვეტა უსწრაფესად შეიძლება, მით უმეტეს, საარჩევნო პროცესში.

„გუშინდელი საპროტესტო აქციის შემდეგ გარკვეული კომპანიებიდან იყო მცდელობა დაწყებულიყო მოლაპარაკება. თუ პრობლემა მოგვარდება, ვინც უნდა, იმან დაიბრალოს მიღწეული შედეგი. ხელისუფლებას უნდა ეყოს კეთილგონიერება და ეს პრობლემა მოაგვაროს. თუ არა და 1 ოქტომბრის შემდეგ ჩვენ მოვაგვარებთ. მე, პირადად მზად ვარ, ბოლომდე მხარში დავუდგე ამ პრობლემის გადასაჭრელად ყველა მძღოლს. მაინტერესებს, თუ თურქებისთვის, სომხებისთვის და აზერბაიჯანალებისთვის არ არის აკრძალული საქართველოში ტვირთების გადაზიდვა, ქართველი გადამზიდავები რატომ გააჩერეს?! აშკარაა, რომ საქმე გვაქვს მონოპოლისტურ ბიზნესთან“,** — დასძენს ბესელია.

რაც შეეხება თავად გადამზიდავებს, ისინი გარმარტავენ, რომ თუ რკინიგზამ ტვირთების ნაწილი მაინც არ დათმო, ისინი ისევ უმუშევრად დარჩებიან.

„გვეუბნებიან, ტვირთები რკინიგზამ უნდა გადაზიდოს, რკინიგზა უნდა დავტვირთოთო. გასაგებია, მაგრამ ჩვენც გვინდა მუშაობა, ოჯახები რომ ვარჩინოთ. მძღოლების 80%-ს გადამზიდი მანქანები კრედიტებით აქვთ ნაყიდი. ბანკებში პროცენტები იზრდება და ზოგმა ჩვენგანმა უკვე დაკარგა ბინა. მანქანები გაჩერებულია, გაჭედილია სადგომი. აზერბაიჯანელები მუშაობენ, სომხები მუშაობენ, თურქები მუშაობენ და მხოლოდ ქართველები ვართ გაჩერებული. ყოფილა შემთხვევა, რომ „პერეგრუზკაზე“ ქართველებს აჯარიმებენ, აზერბაიჯანელებს არა“, — აცხადებენ გადამზიდავები, რომლებმაც საპროტესტო აქციები დაიწყეს და გაჩერებას მანამდე არ აპირებენ, სანამ ხელისუფლება გადამზიდავებისადმი დამოკიდებულებას არ შეიცვლის და მათ მუშაობის საშუალებას არ მისცემს.

ეკა ბესელიამ ხელისუფლებას პრობლემის გადაჭრის ვადა ორშაბათამდე მისცა.

გიორგი აბულაძე,
For.ge

◎ სამეგრელო

უამინდობის გამო თხილისა და სიმინდის დაბალი მოსავალია

2011 წლისგან განსხვავებით, წელს სამეგრელოს სოფლებში თხილისა და სიმინდის დაბალი მოსავალია. სოფლის მცხოვრებლები რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ჰყვებიან, რომ ოჯახებს სწორედ ამ პროდუქტების რეალიზაციიდან შემოსული თანხით არჩენდნენ. დაბალი მოსავლის გამო რესპონდენტები წელს თანხების მაქსიმალურად დაზოგვას გეგმავენ — ამბობენ, რომ შეიძენენ მხოლოდ იმ სურსათს, რომელიც არსებობისთვის აუცილებელია.

დაბალი მოსავლიანობის მიზეზად გლეხები უამინდობას ასახელებენ. ნაწილს მოსავალი მიმდინარე წლის ივნისის თვეში მოსულმა ძლიერმა წვიმამ გაუნადგურა, ნაწილი კი დაბალ მოსავალს განსაკუთრებით ცხელ ზაფხულს აბრალებს: **„წელს არ არის თხილი — მაგარი სიცხეები იყო და ამის გამო..... ფასი კი აქვს ისე — 2. 90 თეთრი ღირს. თხილი არ არის, მაგრამ ფასი აქვს. სოფლებში ძროხები გვყავს, თხილიც ცოტაა, მაგრამ ფასი აქვს და გავიტანთ როგორმე თავს.“**

„სიმინდი ძლიერი სიცხეების გამო დაიწვა. ბოსტანი ძლიერი წვიმების დროს დამეტბორა, არაფერი არ არის ჩვენთან.“

„ვერაფერს ვერ იტყვი. ბუნებამ რა უნდა გითხრას, ან შენ რა უნდა უთხრა მას. საერთოდ არ არის მოსავალი.“

„თხილი ნახევარი ტონა რომ მქონდა, იქ ახლა 100 კგ მაქვს.“

„ძალიან ცუდია, მოსავალი საერთოდ არ არის. რამდენიმე წელია მატლები (ე.წ. თეთრი პეპელა) ჭამს თხილის ფოთლებს. წელს კი შეწამლეს, მაგრამ წლების განმავლობაში პეპლის მიერ მიყენებულმა ზარალმა შედეგი გამოიღო და ნაყოფი არ მოგვცა. ბოსტანიც ამ სიცხეების გამოა განადგურებული. სოფლებში მეტი რა არის. სხვა შემოსავალი არ გვაქვს. ამინდი არ ამართლებს და ხალხს ამაოდ უწევს შრომა“, — ამბობს სოფლის მოსახლეობა.

ივნისის თვეში სტიქიის შედეგად სხვებზე მეტად დაზარალებულ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დღეიდან სასურსათო დახმარების დარიგება დაიწყება. წალენჯიხის გამგებლის მამუკა ქარდავას განცხადებით, სურსათს ის ოჯახები მიიღებენ, რომელთა ზარალიც 50%-ს არ აღემატება. ასეთი კი მამუკა ქარდავას ცნობით 120-მდე ოჯახია.

რაც შეეხება ფულად კომპენსაციას, გამგებლის თქმით, მას 5 ოჯახი მიიღებს. თანხის ოდენობა და გაცემის თარიღი მამუკა ქარდავასთვის უცნობია.

„დღეს ველოდები სურსათს: ფქვილი, ზეთი, შაქარი და ა.შ. 50%-ის ზევით ვისაც აქვს ზიანი, იმათზე ფულადი დახმარების გაცემაზეა საუბარი. ასეთი სულ 5 ოჯახი ყოფილა. იმ დონის დაზიანება სტიქიას არ მოუტანია. სიმინდი ჩაწვა იმ წვიმის დროს, მაგრამ ადგა ახლა და, აღწერის შედეგად, 100% —იანი ზარალი არც ერთ ოჯახს არ ჰქონია“, — განაცხადა მამუკა ქარდავამ.

რაც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებს, ზუგდიდის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თენგიზ შანავას განცხადებით, აქ სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე სურსათისა და ფულადი კომპენსაციების გაცემა ჯერ არ დაწყებულა. თენგიზ შანავას თქმით, სახელმწიფო დახმარება აუცილებლად გაიცემა, თუმცა გაცემის თარიღი მისთვის ჯერჯერობით უცნობია.

თამარ ზანთარაია,
რადიო „თავისუფლება“

◎ კახეთი

მოსავალი, რომელიც სტიქიას გადაურჩა, გვალვისგან იღუპება

გამანადგურებელი სტიქიის შემდეგ კახეთის რეგიონში ახალი პრობლემა გაჩნდა — გვალვის გამო ის მოსავალი ნადგურდება, რომელიც სტიქიას გადაურჩა. თითქმის ერთი თვეა, ნალექი არ მოსულა. იმის გამო, რომ რეგიონის უმეტეს ნაწილში სარწყავი არხებისა და სარწყავი წყლის ნაკლებობაა, მოსახლეობა ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება. მოსავლის მორწყვა მოსახლეობას ძირითად საკარმიდამო ნაკვეთებში უჭირს. ამ პრობლემაზე საუბრობენ თელავსა და ლაგოდეხში.

გელა გელაშვილი, სოფელი მაწიმი: „სულ წყალზე, მორწყვაზე გვაქვს ჩხუბი და დავა. ყველა იძახის, წყალი მე გამოვუშვი და მე მეკუთვნისო.“

გოგი შოშიაშვილი, სოფელი აკურა: „ჩვენს სოფელს სარწყავი არხი არ აქვს. კომუნისტების დროს იყო, მაგრამ სულ დაიშალა. ეს ქვეყანა რომ დაინგრა, სარწყავი არხიც დაიშალა“.

ვალიკო გუგუტიშვილი, სოფელი ვანთა: „სარწყავი არხი კი არის, მაგრამ ვერ იყენებს მოსახლეობა. მას პატრონობა უნდა. წყალი რომ იქნება, გზას მისცემენ და მორწყავს გლეხი სავარგულებს, ხალხი წელში გაიმართება. ახლა წყალიც არ არის.“

ლუარა მაძღარაშვილი: „მხოლოდ წელს იყო ასეთი სიტუაცია, რომ ვარდი გახმა ძირიანად. იმას ვფიქრობ, რომ გაზაფხულისთვის მაინც გადარჩეს, მომავალი წლისთვის მაინც იყოს და პურის ფული, სახარჯო ფული გვქონდეს ოჯახში. უწყლობით გადაგვეწვა სიმინდი, პომიდორი, ვარდი... ხეხილი მთლიანად გადახმა. ხან შლანგით, ხან ვედრებით ვრწყავთ ხოლმე და ასე ვწვალობთ“.

როგორც რეპორტაჟის მომზადების დროს გავარკვიეთ, მორწყვის პრობლემები არამარტო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების კუთხითაა. იმის გამო, რომ სარწყავი სისტემა არ არსებობს, ლაგოდეხის ცენტრალურ მოედანზე ათწლოვანი პალმები ხმება.

ლალი ევტუშენკო: „მაშინ როდესაც წყალს მიაქვს ლაგოდეხი, ქალაქში ხეები ხმება. რა დღეშია პალმები, ხედავთ? დღეისთვის ეს ნარგავები უკვე ნახევრად გამხმარია! და კიდევ კედრები, რომლებიც ხალხმა გადაარჩინა, ახლა ისიც ხმება. ხეები თითქოს ყვირიან, დაგვალევინეთ წყალიო“!

კახეთში სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთების წყლით მომარაგებაზე პასუხისმგებელი გაერთიანებული მელიორაციის სამსახურია. დაწესებულების უფროსის მოადგილე ალექსანდრე იმერლიშვილი ამბობს, რომ ისინი რეგიონის ყველა დასახლებას ემსახურებიან, თუმცა ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროში ამ კუთხით სამუშაოები ახლა მიმდინარეობს.

ალექსანდრე იმერლიშვილი: „ლაგოდეხში დაგეგმილია 9-10 პროექტი. მთიდან ჩამომავალ მდინარეებზე უნდა მოვაწყოთ სარწყავი არხები. პროექტის ფარგლებში განხორციელდება სათავეების გაწმენდითი და არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. პროექტები უკვე მზად არის და ელოდება ტენდერზე გასვლას. ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ რაიონში კი, დედოფლისწყაროში, უკვე დიდი ხანია დაწყებულია სამუშაოები. ამ ეტაპისთვის მათ წყალი სჭირდებათ. ამიტომ ჩვენ გავუშვით და 2 დღეში დედოფლისწყაროს მოსახლეობა მიიღებს წყალს“.

იმ შემთხვევაში, თუ მოსავალი მთლიანად განადგურდა, მოსახლეობა ამბობს, რომ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რადგან ვერ შეძლებენ ბანკიდან აღებული ვალის გასტუმრებას და ზამთარში ოჯახების გამოკვებას.

გიორგი ალადაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ვარაუდი

შემოდგომიდან მივიწყებული ინფლაცია შემოგვიტევს

საქართველოში დეფლაციური პროცესები დასრულდა, ახლა ინფლაციას უნდა ველოდოთ. სავარაუდოდ, შემოდგომიდან ფასების ზრდა შეგვაწუხებს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ფასები იმატებს. ინფლაციისთვის დამატებითი „სტიმულია“ არჩევნებიც.

მსოფლიოში მთელი რიგი კვების პროდუქტები ძვირდება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ივლისში კვების პროდუქტების ღირებულება 6%-ით გაიზარდა. რადგან საქართველო იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა, მსოფლიო ფასები ადგილობრივ სამომხმარებლო ფასებზე პირდაპირ ახდენს გავლენას. ამასთან, კახეთის სტიქიის გამო, ადგილობრივი პროდუქციაც 20-40%-ითაა გაძვირებული.

ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებით, კვების პროდუქტებზე ფასის ზრდა, ინფლაციის ზრდის ტემპზე აუცილებლად იქონიებს გავლენას. ეკონომიკის ექსპერტის სოსო არჩვაძის განმარტებით, საქართველოში წლის პირველ ნახევარში დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა, ამიტომ, პროდუქტის გაიაფებისა და ფასების შემცირების ყოველგვარი ეკონომიკური რესურსი ამოწურულია. ამასთან, ზაფხული მთავრდება და როგორც წესი, დეფლაციურ თვეებს ინფლაციური თვეები მოსდევს.

„მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტების ფასების ზრდა შეინიშნება. ამიტომ, საკმაოდ მაღალი ალბათობით შეიძლება ვისაუბროთ, რომ წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებით ინფლაციური კვების პროდუქტებზე იქნება“, —ამბობს არჩვაძე.

კვების პროდუქტების ფასების ზრდის პარალელურად, ინფლაციის ზრდაზე საუბრობს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძეც. მისი თქმით, საქართველოში პროდუქტზე ფასების ზრდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. ობიექტურია ის, რომ იაფი პროდუქტის ხანა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დასრულებულია. სუბიექტურ ფაქტორად კი ექსპერტი ქვეყანაში არსებულ არაკონკურენტულ გარემოს ასახელებს.



ამავე დროს ექსპერტებს უჭირთ პროგნოზი იმისა თუ რამდენ პროცენტამდე შეიძლება გაიზარდოს წლის განმავლობაში ინფლაცია.

„გააჩნია რა პროცესები წარიმართება. პროდუქტის ფასები პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ბევრადაა დამოკიდებული. უახლოეს პერიოდში ინფლაციის განსაკუთრებულ ზრდას არ უნდა ველოდოთ, თუმცა ბოლო პერიოდში პროდუქტის ფასების ზრდა შესამჩნევია. შემდგომი პერიოდისთვის კი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორი იქნება არჩევნების შედეგები. თუკი მიმდინარე პროცესები მართვადი იქნება ინფლაცია საშიში არაა, მაგრამ თუ გაურკვეველი ვითარება შეიქმნება, ამით მონოპოლიური ჯგუფები კიდევ უფრო ისარგებლებენ და უარეს შედეგს უნდა ველოდოთ“, — ამბობს გიორხელიძე.

სოსო არჩვაძესთვისაც ძალიან რთულია იმის თქმა, რამდენი პროცენტით შეიძლება გაიზარდოს ინფლაცია.

„დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთან ინფლაციის ზრდის ტენდენცია დაიწყება. მთავარია, ინფლაცია ერთნიშნა იყოს. ისევე, როგორც ეს მითითებულია ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, სადაც ორიენტირად 6%-იანი ნიშნულია აღებული. რამდენად მოხდება მისი პარამეტრების ჩატევა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კურსში, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს“, — განმარტავს არჩვაძე.

ექსპერტის თქმით, ამ შემთხვევაში ინფლაციის მაჩვენებელი კი არ იქნება საშიში, არამედ ეს პროცესი როგორ აისახება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობაზე. ამიტომ, ინფლაციის კონტროლი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს.

გიორგი ბექაური

◎ რუსული „ჟანგიანი ტანკების“ გამო

ოთხი წელი ცხინვალის ომიდან

ვაშა, მიშლენდად ქცეულ საქართველოს!



8 აგვისტო საქართველოს დარჩენილ ტერიტორიაზე საყოველთაო გლოვით აღინიშნა. **პრეზიდენტის განკარგულებით, გლოვის ნიშნად, ყველგან დაეშვა სახელმწიფო დროშები. გაგანია საარჩევნო მარათონი რამდენიმე დღით შეწყდა – ხელისუფლების ინიციატივით. მას უმალ აუბეს მხარი არჩევნებში მონაწილე პარტიებმა (მაინც რამდენი არიან ეს დალოცვილები). მართალია, მათი უმრავლესობა ისევე ეღირსება პარლამენტს, როგორც უახლოეს მომავალში ტერიტორიებჩამოჭრილი საქართველო გამთლიანებას, მაგრამ, რომ იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეა და გარდა ამისა, პარტიის მესვეურებს უჩნდებათ შანსი, განაცხადონ, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ.**

საქართველოში არჩევნები თავის გამოჩენის შესაძლებლობადაა ქცეული. უყვართ ქართველ „პოლიტიკოსებს“ მასმედიაში გამოჩენა, „ბრძნული“ აზრების ფრქვევა, რაც საარჩევნო მარათონის დროს უფროა შესაძლებელი, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ასეთ დროს პრესა რაღაც ყურადღებას მაინც იჩენს უჭულაბუჭულა პარტიების მიმართ, თავი რომ გრანდიოზული ჰგონიათ.

ჩაიარა გლოვამ და ახალი ძალით იფეთქა მოჭარბებულმა ნაცურმა ენერგიამ, მას არც „ოცნება“ ჩამორჩება. თუმცა გლოვის დღეები სააკაშვილმა პროპაგანდისთვის გამოიყენა. ცხინვალის ომმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. მას მხოლოდ „მეოცნებეთა“ გასალანძღად იხსენებენ „ნაცები“ და მათზე მიტმასნილი საზოგადოება. **„ნახეთ, რა თქვესო - ომი საქართველომ დაიწყოო“**, – აცხადებენ ერთობ „პატრიოტი“ ნაცები – თითის „მეოცნებეთა“ მისამართით გაშვერით. **„ვინც იმას აცხადებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, მას არ უყვარს საქართველო“**, – ბრძანა სააკაშვილმა და ამით ყველას აგრძნობინა, რომ ამ საკითხში სხვაგვარი აზროვნება ღალატის ტოლია.

ის და მისი გუნდი 4 წლის განმავლობაში ცდილობს 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის ჩამორეცხვას. ნაწილობრივ ახერხებს კიდეც, რაც აშკარა თვალში საცემია, თუნდაც იმ სატელევიზიო სიუჟეტებიდან გამომდინარე, რომელთაც თავს ახვევენ ინფორმაციამოკლებულ ქართულ საზოგადოებას. მტერმა და ყველა ეპოქის ბარბაროსმა რუსეთმა ხელი ასწია უმანკო საქართველოზე, წაგლიჯა რა მას ტერიტორიები, მაგრამ სიმართლე საქართველოს მხარესაა და განგების დახმარებით (იგულისხმება დასავლეთი) საქართველო გამთლიანდება.

კავკასიონის მეორე მხარესაც გაიხსენეს 2008 წლის აგვისტოს ომი, ცხადია, დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებით, ცხინვალის დაბომბვის ვიდეოკადრებით, დაღუპულთა საფლავების მონახულებით და 8 აგვისტოს შესაბამისი ტერმინის – „გენოციდის“ – სისტემატური ხსენებით.

უსმენ ორივე მხარეს და ფიქრობ, რომელია მტყუან-მართალი. იმასაც ფიქრობ, რამ გამოიწვია ორი მეზობელი ერის ერთმანეთთან დატაკება, ვისი შემოქმედებით მოხდა ყოველივე, ვის მიუძღვის ბრალი.

იქეთ მხარეს გაიხსენეს ომის პერიპეტიები, ალაპარაკეს ცნობილი სამხედროები, ცხინვალის ომში მონაწილენი, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გათვითცნობიერებულები. ისინი სინანულით აცხადებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას უნდა გადაედგა პრევენციული ნაბიჯი, რაც თავიდან ააშორებდა მას მსხვერპლს. გენერლები ამბობდნენ, რომ რუსეთს საჰაერო თავდასხმა უნდა მიეტანა ცხინვალის შემოგარენთან და გორში თავმოყრილ ქართულ სამხედრო ძალებზე, რაც არათუ შეაფერხებდა, არამედ აღკვეთდა აგრესიას. გარდა ამისა, ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ შეტევა ცხინვალის გადასარჩენად დაგვიანდა. გადაწყვეტილება ამის თაობაზე გვიან იქნა მიღებული.

სამხედროთა განცხადებას პუტინიც გამოეხმაურა, აღნიშნა, რომ მხოლოდ აგრესიის ფაქტის შემდეგ იყო შესაძლებელი სამხედრო პასუხის გაცემა, სხვა მხრივ პრევენციული დარტყმა გაუმართლებელი იქნებოდა.

ცხინვალის მოვლენების გახსენებას თან ახლდა ხელისუფლების დაპირებაც - საგამოძიებო სამსახურის სახით, რომ საგამოძიებო კომიტეტი აგრძელებს გამოძიებას და სულ მალე ახალ ფაქტებს წარუდგენს საერთაშორისო სასამართლოს იმ პერიოდში ქართველ პოლიტიკოსთა და სამხედროთა ქცევის შესახებ.

შეძლებს თუ არა რუსეთი საქართველოს ხელისუფალთა საერთაშორისო სამართალში მიცემას, დრო გვიჩვენებს და საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე არსებული ვითარება, მანამდე კი სააკაშვილი „ბარბაროსი“ რუსეთის წინააღმდეგ დაუღალავ მებრძოლად რჩება – ჭარბი „პატრიოტიზმით“, საქართველოს აღმშენებლობით დაკავებული ლიდერის იმიჯით.

პუტინის განცხადება, რომ რუსეთი ემზადებოდა საქართველოსთვის პასუხის გაცემისათვის, სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ თავისებურად, ცხადია, თავიანთ სასარგებლოდ შეაფასეს – ხომ გითხარით, რომ რუსეთი კიდევაც ემზადებოდა და ომიც მან დაიწყო ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგო.

ქართულმა მედიამ გულმოდგინედ ატრიალა პუტინის მიერ ნათქვამი – თითქოს ახალი რამ აღმოაჩინეს მასში, თითქოს რაღაც საიდუმლოს ახადა ფარდა რუსეთის პრეზიდენტმა. პუტინი პროფესიონალი მზვერავი იყო და მისი მხრიდან საიდუმლოს გათქმა ერთობ შეუფერებელია. მაშ, რაშია საქმე, რამ გამოიწვია პუტინის „გულწრფელობა“?

პუტინის განცხადება რამდენიმე მიზანს ემსახურება – **პირველი** – განაწყენებული გენერლებისათვის პასუხი, რომ პრევენციული თავდასხმა ქართულ ჯარზე, თანაც თავისსავე ტერიტორიაზე, საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად შეფასდებოდა და რუსეთის ხელისუფლებას თავის გასამართლებლად აღარაფერი დარჩებოდა; **მეორე** – რუსეთმა გადადგა საპასუხო, ადეკვატური ნაბიჯი საქართველოს გონდაკარგული ხელისუფლების აზრზე მოსაყვანად; **მესამე** – სამომავლო გაფრთხილება, რომ მსგავსი გამოხდომის შემთხვევაში რუსეთის რეაქცია უფრო მკაცრი იქნება.

ის, რომ რუსეთი ემზადებოდა საქართველოს ხელისუფლების აგრესიის მოსაგერიებლად და შესაბამისი პასუხის გასაცემად, არავითარი აღმოჩენა არ არის. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მიიჩნევს, რომ მტრები ჰყავს, შეეცდება, სავარაუდო აგრესიის საწინააღმდეგოდ სამხედრო საპასუხო გეგმა შეიმუშაოს.

უკვე მრავალი წელია, საქართველო რუსეთის მიმართ პერმანენტულ მტრულ დამოკიდებულებას ავლენს, რაც თავისთავად უბიძგებს რუსეთის ხელისუფლებას შესაბამისი საპასუხო სამხედრო გეგმის შემუშავებას.

პუტინის განცხადებას არც არაფერი შეუცვლია და არც ახალი გამოუმზეურებია. და, რაც მთავარია, მას არ შეუცვლია ის ფრაზები, რომლებიც ჩაიწერა ტალიავინის დასკვნაში: **„ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი“.**

„შეუძლებელია დავუშვათ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის დაბომბვა „გრადის“ ტიპის მასობრივი სარაკეტო დანადგარებითა და მძიმე არტილერიით შესაბამისობაშია აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნასთან, იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო სოფლები“.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლიდან ვერა და ვერ მიეცა რეალური შეფასება რუსეთსა და მის სამხედრო ძალებს. „დაჟანგული ტანკების“ თემამ სძლია საღ აზრს, გადაადგმევინა საქართველოსა და ნატოს ბელადის გაიგივება – ვამბობთ საქართველოს, ვგულისხმობთ სააკაშვილს, ვამბობთ სააკაშვილს, ვგულისხმობთ საქართველოს. სააკაშვილმა ნაწილობრივ შეძლო ამ თეორიის პრაქტიკაში განივთება.

ოთხი წლის შემდეგ სააკაშვილი გაცილებით თავდაჯერებულია, ვიდრე ადრე – იმდენად, რომ აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის ავტონომიების მიმართ თავისუფალი შეფასების უფლებასაც აძლევს თავს – ისინი საბჭოთა კავშირის დროსაც გამიჯნული იყვნენ თბილისისგანო. ამ ნათქვამით პატივცემული მიხეილი ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა 2008 წლის აგვისტოს ომიდან კი არ დაწყებულა, არამედ გაცილებით ადრე, საბჭოთა პერიოდიდან.

უნებლიეთ იბადება კითხვა – აჯერებს თუ არა ამ ბლეფით საზოგადოებას? ცხადია, აჯერებს, თუ ყველას არა, საკმაოდ დიდ ნაწილს – ინფორმაციით და ანალიზის უნარით მოკლებულთ – სამთავრობო ექსპერტობისა და ჯიბის ტელევიზიების საშუალებით, ოპოზიციის სრული უუნარობით, სიზარმაცით, უცოდინარობით.

არც ოპოზიციას და არც ე.წ. ოპოზიციურ ტელეკომპანიას არ უჩვენებია 2008 წლის 7-8 აგვისტოს ომამდელი ამბები – სააკაშვილის და ქართველ სამხედროთა „პატრიოტიზმით“ გაჟღენთილი განცხადებები. არც არავის გახსენებია პრეზიდენტის მიერ ოსთა მიმართ ნათქვამი ძმობის და ერთად ცხოვრების სიტყვები. იყო თუ არა ეს ოსთა ყურადღების მოდუნებისათვის ნათქვამი?! და როდესაც ძმობის ჰიმნს მღეროდა, პარალელურად ამ „ძმობის“ დასამარების სამხედრო გეგმა „ჩქსტოე პოლე“ ითხზვებოდა.

ისტორიას ბევრი მსგავსი მზაკვრული მაგალითი აქვს შემონახული, მათ შორის აღსანიშნავია ჰიტლერის მიერ სტალინისათვის გაგზავნილი წერილი, 1941 წლის 14 მაისით დათარიღებული. წერილი იწყება ასე: **„პატივცემულო, ბატონო სტალინ! მე გწერთ ამ წერილს იმ მომენტში, როდესაც საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ევროპაში მტკიცე მშვიდობის შექმნა შეუძლებელი იქნება ინგლისის, როგორც სახელმწიფოს განადგურების გარეშე“.** შემდეგ ჰიტლერს მოჰყავს მთელი რიგი მოსაზრებები ამ საქმის განხორციელებისათვის და გადადის მთავარზე – საბჭოთა საზღვრებთან 80 დივიზიის თავმოყრაზე.

ის წერს, რომ დივიზიების საბჭოთა საზღვრებთან განლაგება ინგლისის თვალის ახვევისათვის მოხდა და მთავარი სამიზნე ინგლისია. **„გარწმუნებთ სახელმწიფო მეთაურის პატიოსანი სიტყვით, რომ დივიზიების თქვენს საზღვრებთან თავმოყრა არ ნიშნავს სამხედრო კონფლიქტს ჩვენს შორის. გარდა ამისა, დაბეჯითებით გთხოვთ, არ წამოეგოთ ზოგიერთი ჩემი გენერლის პროვოკაციას, რომელსაც შეესაძლოა, ჰქონდეს ადგილი. გთხოვთ, არ გადადგათ საპასუხო ნაბიჯი და უმალ შემატყობინოთ მე ამის თაობაზე თქვენთვის ცნობილი არხებით...**

გულწრფელად თქვენი ადოლფ ჰიტლერი“.

მკითხველი ისე ნუ გამიგებს, თითქოს მიშას და ადოლფს ერთმანეთს ვადარებდე. ჰიტლერი იყო ბოროტი მხედართმთავარი, სააკაშვილი კი არც მხედართმთავარია და არც სამხედრო სტრატეგი. ის უბრალოდ ბოროტი სულია, რომელმაც იოლად მოახერხა გულუბრყვილო საზოგადოებაში სიმპათიების მოპოვება, მხარდამჭერთა დარაზმვა და ისეთი საამური ცხოვრების შექმნა, რომელიც ბედნიერების მომტანია სააკაშვილისა და ერთი მუჭა მისი გუნდისთვის.

2008 წლის ომით სააკაშვილმა კიდევ უფრო განიმტკიცა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტი ადამიანის სახე, კიდევ უფრო დაარწმუნა საზოგადოება, რომ საქართველოს ერთადერთი მტერი

რუსეთია, რომლის ჯიბრზე საქართველო ევროკავშირშიც შევა და ნატოშიც.

ვაშა, ახალ მიშლენდად ქცეულ საქართველოს!

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ტრანსპორტი

თბილისის ცენტრში რკინიგზის გაუქმება დიდი შეცდომაა!

სურამის ულელტეხილის რკინიგზის ელექტრიფიცირების 80 წლისთავი და დღევანდელობის პრობლემები



1932 წლის 16 აგვისტო ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღია საქართველოს რკინიგზის 140-წლიან ისტორიაში. იმ დღეს ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად სურამის ულელტეხილის უბანზე გაიარა მატარებელმა, რომელსაც თავში ელექტრომავალი ედგა. ეს იყო პირველი მაგისტრალური უბანი, რომელზეც დაინერგა ელექტროწევა 3,3 კვ ძაბვით.

ზესტაფონი-ხაშურის უბნის ელექტრიფიცირების საკითხი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დადგა, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში მან უკვე რეალური სახე მიიღო.

1910 წელს ჩამოყალიბდა პირველი ჯგუფი, რომელსაც დაევალა საპროექტო სამუშაოებისთვის საჭირო მასალის შეგროვება. მისი გადაჭრა ფერხდებოდა იმის გამო, რომ საქართველოში ენერგეტიკა სუსტად იყო განვითარებული. არ იყო არც ერთი ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე საკმარისი იქნებოდა მატარებლების ელექტროწევაზე გადასაყვანად. ამიტომ ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურში, შემდეგ კი ტექნიკურ განყოფილებაში ამ უბნის ელექტრიფიცირების პროექტის შემუშავება დაიწყო ტყიბულისა და შაორის რაიონებში წყლის რესურსების ძიებით ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად.

ამ დროისთვის უკვე შენდებოდა ზაჰესი და მიიღეს გადაწყვეტილება რიონჰესის მშენებლობის შესახებ. რკინიგზის ხელმძღვანელობამ მიზანშეუწონლად ჩათვალა საკუთარი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და შეაჩერა მასთან დაკავშირებული საძიებო სამუშაოები. სამაგიეროდ რკინიგზამ აიღო ვალდებულება, აეშენებინა 110 კვ ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც აუცილებელი იყო საულელტეხილო ელექტრიფიცირებული უბნის შეუფერხებელი და საიმედო მუშაობისთვის.

1927 წლის 17 მაისს ჩამოყალიბდა ზესტაფონი-ხაშურის უბნის ელექტრიფიცირების ბიურო. იგი იყო დამოუკიდებელი საპროექტო-სამონტაჟო და საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა რკინიგზის სამმართველოს უფროსს.

ელექტრიფიცირების აუცილებლობა საფუძვლიანად დასაბუთდა. ასე დაიწყო დიდი ხნის წინათ არსებული იდეის — სურამის ულელტეხილის ელექტრიფიცირების განხორციელება.

სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 1927 წლის აპრილში. რკინიგზამ თბილისში ააშენა ლითონკონსტრუქციების დამამზადებელი ქარხანა ამიერკავკასიაში პირველი 110 კვ. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზისა და რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ანძების, აგრეთვე წევის ქვესადგურების ლითონის კონსტრუქციების დასამზადებლად.

ზესტაფონის, მოლითის და ხაშურის წევის ქვესადგურების დენის გარდამსახებად შეირჩა იტალიური ფირმა „კოჟენელის“ მოტორ-გენერატორები, ხოლო ელმავლები შეიძინეს იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საელმავლო დეპოს მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა ხაშურში, რკინიგზის შემდგომი უბნების ელექტრიფიცირების პერსპექტივის გათვალისწინებით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტემპი განსაკუთრებით გაიზარდა 1932 წელს. საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მიერ ჩატარებული თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგად, 1932 წლის პირველ ნახევარში ყველა სამშენებლო-სამონტაჟო და გასაწყობი სამუშაოები დამთავრდა და 1 ივლისს 110 კვ. გადამცემ ხაზს მიეწოდა ძაბვა ზაჰესიდან, ხოლო პირველ აგვისტოს გაიხსნა მოძრაობა ზესტაფონი-ხაშურის უბანზე ელექტროწევით.

ასე ჩაეყარა საფუძველი ტექნიკურ პროგრესს რკინიგზაზე. სურამის ულელტეხილის ელექტრიფიცირებული უბანი იქცა ლაბორატორიად, სადაც წლების განმავლობაში გამოიცდებოდა მრავალი ტექნიკური სიახლე ელექტროწევის დარგში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ წლების შემდეგ თბილისში აშენდა ელექტრომრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო-ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელშიც დამზადებული ყველა ახალი ელმავალი გამოცდას გადიოდა სწორედ ამ უბანზე.

ზესტაფონი-ხაშურის უბნის ელექტრიფიცირებამ დასაბამი მისცა სულ მოკლე დროში ხაშური-თბილისისა და ზესტაფონი-სამტრედიის უბნების ელექტრიფიცირებას, ხოლო 1967 წლისთვის საქართველო განდგომილი ქვეყანა მსოფლიოში (შვეიცარიის შემდეგ), რომლის რკინიგზები მთლიანად ელექტრიფიცირებული გახდა.

ბოლოს, ელექტრიფიცირებულ რკინიგზებთან დაკავშირებულ ერთ აქტუალურ საკითხს მინდა შევეხო. საქმე ეხება თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქალაქის ფარგლებში არსებული რკინიგზის ლიანდაგების აყრას, ვითომცდა ის ქალაქს ნაწილებად ყოფდეს. მათი ინიციატორები ვერ დაასახელებენ ევროპის ყველაზე განვითარებული ქვეყნების ვერც ერთ დიდ თუ პატარა ქალაქს, მათ შორის დედაქალაქებსაც, რკინიგზა რომ არ გადიოდეს. მაშინ, როცა თბილისის მერია რუსთაველის გამზირზე ტრამვაის აღდგენას ფიქრობს, იქნება აგვიხსნან, რით განსხვავდება ტრამვაი საგარეუბნო ელექტრომატარებლისგან? — არაფრით, მხოლოდ საკონტაქტო ქსელში არსებული ძაბვით!

გერმანიაში, ცნობილ კურორტ ბადენ-ბადენის მიმდებარე რკინიგზის სადგურიდან საგარეუბნო ელექტრომატარებელი ქ.შტუტგარტში ტრამვაის ლიანდაგზე გადადის და ქალაქის ფარგლებში განაგრძობს მოძრაობას, როგორც ტრამვაი... და ასეა არა მხოლოდ შტუტგარტში.

თბილისის ფარგლებში (თბილისის ცენტრში) რკინიგზის გაუქმება დიდი შეცდომაა, ის უნდა დარჩეს მხოლოდ სამგზავრო მატარებლების სამოძრაოდ!

სურვილის შემთხვევაში, თუ მეტროს მგზავრების მცხეთის მიმართულებით გადაყვანაა საჭირო, დიდუბის რკინიგზისა და მეტროს სადგურებს შორის შეიძლება აშენდეს მიწისქვეშა გადასასვლელი ესკალატორით და მგზავრებს შეეძლებათ მეტროდან რკინიგზაზე გადასვლა და გზის გაგრძელება მცხეთამდე ელექტრომატარებლით, რომლის თანამედროვე კომფორტული ვაგონები არაფრით განსხვავდება მეტროს ვაგონებისგან. პირიქით, უფრო კომფორტულიცაა!

კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე აზრს გამოთქვამენ დარგის სპეციალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები.

გუგული მაისურაძე,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,
საპაგიო რკინიგზელი.

◎ ვინ იცავს საქართველოში ჟურნალისტებს?

ყველაფერზე წამსვლელი მედიაგარემო თუ... გიგა ბოკერია?

„მედიაჯგუფის“ მიერ ოპოზიციური ტელევიზიების ჟურნალისტებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ხელისშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ associated press — თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „რეალურად, მთავრობა იტანს უწესრიგო და ყველაფერზე წამსვლელ მედიაგარემოს... ეს ახალი ტაქტიკა თავად „ინფო 9“-მ დანერგა და მერე ამაზე ასე ირეაგირეს — გადაიღეს მათი ქცევა ადგილობრივ საჯარო მოხელეებთან. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ იმას, თუ როგორ ექცევა მედიასაშუალება ამა თუ იმ მხარეს“, — განაცხადა ბოკერიამ.

ჟურნალისტი **ია ანთაძე** From.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ როდესაც უწყებათშორისი კომისიის ხელმძღვანელი გიგა ბოკერია მსგავს განცხადებას აკეთებს, ეს ნიშნავს, რომ ის თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარს აცხადებს, უწყებათშორისი კომისიის მოვალეობას საარჩევნო გარემოს დარღვევებისგან მაქსიმალურად დაცლა წარმოადგენს, ჟურნალისტებს კი, წესით, პოლიცია იცავს.

„ბოკერიას განცხადებაში ყველაზე მთავარი არის ის, რომ არ არის ერთმანეთისგან გარჩეული ორი მომენტი. ერთი, რომ ჟურნალისტი ცდილობს გაარკვიოს, რას აკეთებენ ჩინოვნიკები და მეორე, როდესაც ჟურნალისტი ცდილობს გაარკვიოს, რას აკეთებს მისი კოლეგა. ამ ორს შორის დიდი სხვაობაა. როდესაც ჟურნალისტი დასდევს სახელმწიფო ჩინოვნიკს — ეს მისი საქმიანობაა, ხოლო, როდესაც ჟურნალისტი ჟურნალისტს დასდევს — ეს კოლეგის საქმიანობაში ხელის შეშლაა. უწყებათშორისი კომისია იმისთვის არსებობს, რომ საარჩევნო გარემო მაქსიმალურად იყოს დაცული მსგავსი დარღვევებისგან და როცა ამ კომისიის ხელმძღვანელი მსგავს განცხადებას აკეთებს, ეს პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ ბოკერია თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარს აცხადებს“, — აღნიშნავს ანთაძე.

შეკითხვაზე, როდესაც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს ჟურნალისტების საქმეა და „რა ქნას ხელისუფლებამ, ის ისედაც ასეთ გარემოს იტანს“, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გიგა ბოკერიაც და ხელისუფლებაც „მედიაჯგუფს“ ხელს აფარებს? ანთაძის აზრით, აქ უკვე საარჩევნო გარემოზე კი არა, კანონდარღვევაზეა საუბარი, უწყებათაშორისი კომისიაც ჟურნალისტებისთვის ხელისშეშლასა და ზეწოლის ფაქტებზე არ რეაგირებენ, ია ანთაძე თვლის, რომ ეს პოლიციის მოვალეობაა, წინაღმდეგ შემთხვევაში ჟურნალისტები პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაუცველები აღმოჩნდებიან.

„უწყებათშორისი კომისიის ხელმძღვანელი „მე-9 არხის“ და „ინფო9“-ის ჟურნალისტებზე აცხადებს კიდეც, რომ მათ ასეთი რამ მოიგონეს. აქ უკვე საარჩევნო გარემოზე კი არა, კანონდარღვევაზეა საუბარი და რამდენად შესაბამისობაშია საარჩევნო გარემო კანონმდებლობასთან, ეს არის გასარკვევი. ბოკერიამ პასუხისმგებლობა „ინფო9“-ის ჟურნალისტებზე გადაიტანა, მაშინ, როცა ისინი არავის უკან არ დასდევენ და ეს ცხადია. ჩვენი პროფესიის არსია, რომ საზოგადოებას მივაწოდოთ ხელისუფლების შესახებ ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის სხდომა დახურულია და ეს წინასწარაა გაცხადებული და რომელიმე ჟურნალისტი შევარდა სხდომაზე, მაშინ არის ჟურნალისტი დამნაშავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს. თუ ჟურნალისტს აინტერესებს, რას აკეთებს ჩინოვნიკი, ეს კანონდარღვევა არ არის“, — აღნიშნავს ანთაძე.

ვინ უნდა დაიცვას საქართველოში ჟურნალისტები, თუ ხელისუფლებაც და უწყებათაშორისი კომისიაც ჟურნალისტებისთვის ხელისშეშლასა და ზეწოლის ფაქტებზე არ რეაგირებენ, ია ანთაძე თვლის, რომ ეს პოლიციის მოვალეობაა, წინაღმდეგ შემთხვევაში ჟურნალისტები პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაუცველები აღმოჩნდებიან.

„როდესაც თქვენ ქუჩაში გაბრძანდებით, თუ ვინმე გამოგეკიდებათ და ფსიქოლოგიურ ტერორს მოგიწყობთ, პოლიციამ უნდა დაგიცვათ. თუ პოლიცია არ გიცავთ, მაშინ ვინ უნდა დაიცვას ჟურნალისტი? ეს ნიშნავს იმას, რომ სანამ წინასაარჩევნო პერიოდი არ შეიცვლება, ნებისმიერი ჩვენგანი ამ მდგომარეობაში ვიქნებით — ანუ დაუცველები, სწორედ იმიტომ, რომ ჟურნალისტები ჩვენს პროფესიულ მოვალეობას ვასრულებთ. და კიდევ ერთი, ძირითადი თავდასხმა რეგიონალურ ჟურნალისტებზე მოდის, რადგან ამ შემთხვევაში რეგიონებიდან შემოსული ინფორმაციაა მნიშვნელოვანი“, — აცხადებს ანთაძე.

For.ge

◎ ინფორმაცია

ცხინვალის რეგიონში ქართული სოფლები აღარ არსებობს

ცხინვალთან ახლოს მდებარე ქართულ სოფლებში დარჩენილ სახლებს დაანგრევენ. ოსური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა. აღნიშნული სოფლები ქართული მოსახლეობისგან აგვისტოს ომის შემდეგ დაიცალა.

როგორც თიბილოვმა განაცხადა, სახლების ადგილას სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ობიექტები განთავსდება. დე ფაქტო მთავრობა სოფლებისთვის არც ძველი სახელების შენარჩუნებას აპირებს.

— ეს ტერიტორიები, როგორც დასახლებული ადგილები, აღარ იარსებებს, — აღნიშნა ე.წ. პრეზიდენტმა.

ოსური მედიის ინფორმაციით, სულ საუბარია 8 დასახლებულ პუნქტზე, მათ შორისაა თამარაშენი, ქურთა, კეხვი, აჩაბეთი.

როგორც თიბილოვი აცხადებს, ჯერ სახლები აღებული ბოლომდე არ არის, თუმცა ისინი გეგმავენ, რომ „ის ტერიტორიები, სადაც სახლების ნანგრევებია, იურიდიულად გააფორმონ“, ხვალ და ზეგ ვინმეს ჩვენს მიმართ კითხვები რომ არ გაუჩნდეს“.

— სამი-ოთხი წლის შემდეგ ამ ადგილებს ვერც კი იცნობთ. შედარებით დაუნგრეველი სახლები არის თამარაშენში (იქ უკვე აშენდა ახალი მიკრორაიონი „მოსკოვსკი“). კეხვის სამლოცველოს არ შევხებივართ, თუმცა სახლების დიდი ნაწილი უკვე აღებულია, — განაცხადა ე.წ. პრეზიდენტმა.

ინტერპრესი

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲐᲡᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ!

ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲚᲐ�პᲘᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲝᲢᲐᲛ �თᲣ ᲘᲪᲘᲡ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛ **ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲚᲘᲑᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ 2011 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ!** ᲕᲘᲜᲛᲔᲯᲘ ᲡᲛᲔᲜᲘᲐ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ?! ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ „ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐᲜ“ ᲔᲥᲡᲪᲔᲜᲢᲠᲣᲚ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ (ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ) ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲛᲧᲝᲤᲡ, ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲠᲕᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲗᲐᲙᲘᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ (ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲚᲔᲜᲝᲗ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲣᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲠ 2001 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲙᲘ ᲚᲘᲑᲘᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲐ!). ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲨᲘ(!), ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲛᲔ ᲙᲘ, ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐᲕᲡᲕᲐᲛ: ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲣᲯᲐᲜᲧᲓᲐ ᲙᲐᲓᲐᲤᲘᲡ?! ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐ „ᲜᲐᲢᲝᲛ“ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲠᲕᲐ(!) ᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ ᲙᲐᲓᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ „ᲑᲠᲝᲕᲐ“?! ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲔᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲛ ᲮᲛᲝ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲝᲢᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲚᲘᲑᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 77 ᲓᲦᲔ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ „ᲜᲐᲢᲝᲡ“ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲡ. ᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲠᲐᲓᲔᲑᲐ?! ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲗᲣ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔᲑᲗ Ე.Წ. „ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲔᲒᲘᲞᲢᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲚᲔᲜᲗ, ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲛᲐ ᲕᲘᲗᲘᲚᲔᲗ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ — ᲢᲐᲮᲠᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲛᲣᲑᲐᲠᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ(!) ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢᲘ, ᲐᲜᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ! ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ, ᲚᲘᲑᲘᲣᲠᲘ „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲐ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ?ᲘᲥ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ, ᲡᲐᲞᲐᲠᲘᲡ�პᲘᲠᲝ(!)ᲠᲐᲓ ᲕᲜᲐ — ᲐᲠᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲓᲛᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ — „ᲢᲝᲘᲝᲢᲐᲡ“ ᲯᲘᲞᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ, „ᲖᲔᲜᲘᲗᲙᲔᲑᲘᲗ“(!) ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ(!) ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲔᲑᲘ (ᲐᲠᲐᲠᲐᲓᲐ, ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲙᲐᲚᲐᲨᲜᲘᲙᲝᲕᲔᲑᲘᲗ“ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲡᲐᲣᲧᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ 90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ!); **ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ,ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ (ᲐᲠ ᲒᲕᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ, ᲡᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ) ᲙᲐᲪᲘ — ᲐᲡᲗᲔᲗ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲐᲓᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲨᲘ(!), ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲛᲔ ᲙᲘ, ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐᲕᲡᲕᲐᲛ: ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲣᲯᲐᲜᲧᲓᲐ ᲙᲐᲓᲐᲤᲘᲡ?! ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐ „ᲜᲐᲢᲝᲛ“ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲠᲕᲐ(!) ᲗᲕᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ ᲙᲐᲓᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ „ᲑᲠᲝᲕᲐ“?! ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲔᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲛ ᲮᲛᲝ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲪᲝᲢᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲚᲘᲑᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 77 ᲓᲦᲔ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ „ᲜᲐᲢᲝᲡ“ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲡ. ᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲠᲐᲓᲔᲑᲐ?! ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲗᲣ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲔᲑᲗ Ე.Წ. „ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲔᲒᲘᲞᲢᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲑᲘᲐᲨᲘ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲚᲔᲜᲗ, ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐᲕᲓᲐ

სად როგორ ცხოვრობენ?

მეგობარ ქვეყანაში

ფსონი ინოვაციებზე

ეკონომიკური კრიზისის ფონზე სერიოზული ინვესტორები დაფიქრდნენ იმის შესახებ, თუ სად დააბანდონ სახსრები. და ყველაზე ხელსაყრელი მიმართულება აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნები, რომელთა შორისაც მე განსაკუთრებით ყაზახეთს გამოვყოფდი. აგიხსნით რატომ...

ეს არაჩვეულებრივი ქვეყანა ასტანის მეხუთე ეკონომიკური ფორუმის კულუარებში გავიცანი. საგულისხმოა, რომ ჩემდა გასაკვირად, თავყრილობაზე განიხილავდნენ გლობალური ხასიათის საკითხებს. მაშინ ასე ვფიქრობდი: ჩავალ, კალთას ჩამომახევენ — ინვესტორობა გაგვიწიეთო, დაიწყებენ თავიანთი ველური აზიის ქებას.

სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად აღმოჩნდა — ფორუმზე განიხილებოდა ეკონომიკური ტრანსფორმაციის საკითხები პლანეტარული მასშტაბით. ამ ქვეყნის პრეზიდენტმა მაშინ, მახსოვს, დაიყენა წინადადება — გამოვიმუშავოთ ერთობლივი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით G-Global დიალოგის ფარგლებში. მის იდეებს მხარი დაუჭირეს ფორუმის მონაწილეებმა, მათ შორის, იყვნენ ნობელის პრემიის 12 ლაურეატი ეკონომიკის დარგში, სახელმწიფოთა და მთავრობათა ყოფილი ხელმძღვანელები, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსები და წამყვანი ექსპერტები 90-ზე მეტი ქვეყნიდან...

მოკლედ, იმ დღეებში ყაზახეთი გახდა პლანეტის ეკონომიკური აზროვნების ცენტრი. ფორუმზე მიიღეს ბევრი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დისკუსიებისთვის G8 და G20 ფორმატში.

უნდა ვაღიარო, რომ ყაზახეთის ასეთმა მიდგომამ გამაოცა და აღმაფრთოვანა. ამ ქვეყანას, რომელიც წარმატებით ძლევს კრიზისს, ესმის, რომ გლობალიზაციის პროცესში ყველა პრობლემა საერთოა — ამიტომ გამუდმებით ეძებს საფინანსო კატაკლიზმებიდან გამოსასვლელ რეცეპტებს.

ამიტომ, იმ ფორუმიდან გარკვეული დროის შემდეგ, დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს სიახლეებს ამ რესპუბლიკაში, მაგრამ უკვე ინვესტირების მიზნით. და აქ მინდოდა აღმენიშნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი.

ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, ყაზახეთი ენერგიულ მცდელობას არ აკლებს იმას, როგორმე მოიცილოს სარესურსო დანამატის სტატუსი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მომეჩვენა გამოკვლევები, რომლებიც რუსეთის „სბერბანკის“ ექსპერტებმა ჩაატარეს. ექსპერტების მონაცემებით, ინვესტიციების სტრუქტურა, რომლებიც მიდის ყაზახეთის რესპუბლიკაში, ჯერჯერობით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაბალანსებულად: 65 პროცენტი მიემართება ნედლეულის სფეროში. მაგრამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სხვაობა სანედლეულო და არასანედლეულო სექტორში დაბანდებებს შორის შემცირდა ორჯერ და უფრო მეტად!

ეს კი უკვე იმის მაჩვენებელია, იმის დამადასტურებელია, რომ ეკონომიკის დივერსიფიკაციის პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, პოზიტიურ შედეგებს იძლევა.

დღეს სწორედ არასანედლეულო სფეროში იწვევს ყაზახეთი ინვესტორებს. და თუ ადრე ბიზნესი ამუხრუჭებდა ბაზრის მოცულობას — მოსახლეობა ქვეყანაში მართლაც არაა ბევრი, სულ 16 მილიონი კაცია — ახლა ეს საკითხიც ნაწილობრივ მოიხსნა დღის წესრიგიდან საბაჟო კავშირის შექმნის გზით: რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი და ერთიანი ეკონომიკური სივრცე მითითებულ სახელმწიფოებს შორის. ეს ხსნის 170 მილიონი კაცის მოცულობის ბაზარს და საშინაო მთლიანი პროდუქციის მოცულობა კი 2 ტრილიონ აშშ დოლარამდე აღწევს!

ბაზარი დიდია. მაგრამ ხომ არ გადაიბირებენ ინვესტიციების ნაწილს რუსეთი და ბელარუსი? არა, ვერ გადაიბირებენ. ბიზნესგარემო ყაზახეთის რესპუბლიკაში ყველაზე ხელსაყრელია საბაჟო კავშირის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. მსოფლიო ბანკის 2011 წლის რეიტინგის თანახმად, რუსეთის ფედერაციას და ბელარუსს 123-ე და 68-ე ადგილები ეკავათ შესაბამისად, მაშინ, როდესაც ყაზახეთი 59-ე ადგილზე იყო. უფრო მეტსაც ვიტყვით, 2012 წელს რესპუბლიკა 47-ე პოზიციაზე გადავიდა, ხოლო ინდიკატორით — „ინვესტორების დაცვა“ — ერთბაშად 34 პოზიციით ამაღლდა.

და როგორც შედეგი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყაზახეთი სათავეში უდგას იმ ათი ქვეყნის სიას, რომლებმაც მიაღწიეს ყველაზე მეტ წარმატებას სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.

ყაზახეთისთვის, ვიმეორებ, ინვესტიციები, როგორც ასეთი, დღეს მთავარი რადია. ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ისედაც ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ჩინეთსა და თურქეთში და 1,6-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე რუსეთში. 1993 წლიდან რესპუბლიკაში მოზიდულია 146 აშშ მილიარდ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ამიტომ, ამჟამად შეიძლება ვილაპარაკოთ განვითარების მეორე ეტაპზე, როდესაც საკითხი შეეხება არა საინვესტიციო დაბანდების ოდენობას, არამედ ხარისხს. ინოვაციები — აი, რაზე ჩადის დღეს ფსონს ყაზახეთი.

რესპუბლიკაში ბიზნესის მოზიდვის მიზნით სერიოზული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებასა და პროცედურების გამარტივებას, სამართალდაცვისა და სასამართლო სისტემების ეფექტიანობის ამაღლებას, საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას. იქმნება სპეციალური ეკონომიკური ზონები, ხორციელდება კონცესიური პროექტები.

თუმცა არის პრობლემებიც. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტორების საბჭოზე გამოქვეყნდა კომპანია „ერნსტ ენდ იანგის“ გამოკვლევები, რომლებიც მოწმობენ, რომ რესპუბლიკაში არ არის ძლიერი პროპაგანდისტული მუშაობა, რათა უცხოეთში შეიქმნას ყაზახეთის დადებითი იმიჯი ეკონომიკურ ასპექტში.

კომპანიის ექსპერტებმა გადაწყვიტეს, შეისწავლონ რესპუბლიკის საინვესტიციო მიმზიდველობა 27 ქვეყანაში 200 არსებული და პოტენციური ინვესტორების გამოკითხვის საფუძველზე. ერთი მხრივ, შედეგები დადებითია. ვაღიარებ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ბაზარი დსთ-ს ტერიტორიაზე სამიდან ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია. მაგრამ მათთვის, ვინც უკვე მუშაობს ამ ქვეყანაში, ყაზახეთი ამ სიაში პირველ ადგილზეა. აი, რაც შეეხება პოტენციურ ინვესტორებს, ასე მხოლოდ 18 პროცენტი მიიჩნევს.

ერთი სიტყვით, ყაზახეთში თვითრეკლამა რამდენადმე უარესია, ვიდრე ამის რეალური შესაძლებლობები არსებობს.

ერთიანად, ყაზახეთი შეიძლება მიმზიდველი იყოს მთელი რიგი მიზეზის გამო. თუ ნედლეულზე ვიმსჯელებთ, ქვეყანას მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიოში ბუნებრივი რესურსების მარაგების მიხედვით. აქ მოიპოვებენ ნავთობს, გაზს, ურანს, თუთიას, ვოლფრამს, ვერცხლს, ტყვიას, სპილენძს, ფლიუორიტებს, მოლიბდენს, ოქროს... ყაზახეთის რესპუბლიკის მინერალურ-სანედლეულო ბაზა 5004 საბადოს მოიცავს, რომელთა საპროგნოზო ღირებულება დაახლოებით 46 ტრილიონი აშშ დოლარია.

მნიშვნელოვანი რესურსი — ეს მხოლოდ სასარგებლო წიაღისეული როდია, ეს არის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობაც. ძირითადი ტრანსკონტინენტალური მარშრუტები, რომლებიც აერთიანებენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს ახლო და შუა აღმოსავლეთთან და ევროპასთან, გადიან სწორედ ყაზახეთზე. ამჟამად არსებული პოტენციალის რეალიზაციისთვის შენდება სატრანსპორტო დერეფანი „დასავლეთი ევროპა — დასავლეთი ჩინეთი“. ამ პროექტის რეალიზაციით 2020 წლისთვის ტრანზიტული ტვირთნაკადის მოცულობა ყაზახეთზე გავლით უნდა გაიზარდოს თითქმის 2-ჯერ იმ ვარაუდით, რომ იგი, სულ მცირე, 50 მილიონ ტონამდე გაიზარდოს. ამ მარშრუტს ჩინეთიდან ევროპაში აქვს უდავო უპირატესობა: ის მნიშვნელოვნად უფრო მოკლეა საზღვაო გზასთან შედარებით სუეცის არხის გავლით. დერეფნის გასწვრივ შენდება აუცილებელი ინფრასტრუქტურა, იქმნება ტურისტული კლასტერი. ეს ფულის ხელსაყრელი დაბანდებაა.

ხოლო თუ ყაზახეთის რესპუბლიკაში მხოლოდ ტურიზმის შესახებ ვილაპარაკებთ, აქ ბევრი უნიკალური ბუნებრივი ნაკრძალი და ეროვნული პარკია, ასზე მეტი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულება, აგრეთვე ათი ათასზე მეტი არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლი.

სხვათა შორის, ეგზოტიკური ბუნება და მდიდარი რესურსებიც კი არაფერია, თუ ქვეყანაში არ იქნება სიმშვიდე. ასე რომ, რესპუბლიკის მთავარი მონაპოვარი, ერთგვარი „კოზირი“ მსოფლიოს საინვესტიციო ბაზარზე, უწინარეს ყოვლისა, ყაზახეთში შინაპოლიტიკური სტაბილურობაა. ეს რესპუბლიკა არის იმის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება მშვიდობითა და თანხმობით ცხოვრობდეს ერთად 140-ზე მეტი ხალხის წარმომადგენელი. აქ მშვიდობიანად თანაარსებობენ ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი და სხვა რელიგიები.

ყაზახეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმატების დამადასტურებელი მაგალითია ყაზახეთის რესპუბლიკის თავმჯდომარეობა ეუთოში 2010 წელს, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მსოფლიო გაერთიანებას სწამს რესპუბლიკის განვითარების სიცოცხლისუნარიანი კურსი. ეუთოს სამიტი, რომელიც 2010 წლის დეკემბერში ასტანაში გაიმართა, იყო უდიდესი ფორუმი პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორიაში.

მე ჩემთვის აღმოვაჩინე ეს გასაოცარი ქვეყანა. შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, რომ მაღალგანვითარებული და ტოლერანტული მოსახლეობა რესპუბლიკის სტაბილურობის გარანტიაა. გარწმუნებთ, თუ აქ მოხდება რევოლუცია, მხოლოდ სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიების სფეროში.

გიორგი მგელაძე

ვითარება

ერევნის ბილეთები არ არის!

სირიაში სომხური დიასპორის მონაცემებით, სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებიდან ქვეყანაში სულ მცირე ექვსი ეროვნებით სომეხი დაიღუპა, რომელთაგან ორი კაცი სირიის ჯარში მსახურობდა.

— ბოლო დროს ყველაზე საგანგაშო ცნობები ალეპოდან, ანუ იმ ქალაქიდან მოდის, სადაც ყველაზე მეტი სომეხი ცხოვრობს. 60-ათასიან თემს დიდძალი ქონებრივი ზარალიც ადგება, — წერს გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტი“ ვარადური ვარდანიანი. — აგერ უკვე ორ თვეზე მეტია, მეამბოხეთა ხელშია ქალაქ ხომსის სომხური ეკლესია და სკოლა, თუმცა ეკლესიიდან არქივისა და დოკუმენტების გატანა მაინც შეძლეს.

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სერგეი მინასიანის განცხადებით, სირიაში სომხური დიასპორის წარმომადგენლებთან მუდმივი კავშირი დამასკოში სომხეთის საელჩოს, ალეპოში სომხეთის გენერალური წარმომადგენლობისა და სომხეთიდან საგანგებოდ წარგზავნილთა მეშვეობით ხორციელდება.

— საჭიროების შემთხვევაში გადადგმული იქნება დამატებითი ნაბიჯები, — დასძინა ბატონმა მონასიანმა.

ექსპერტები საგანგებოდ აღნიშნავენ სირიაში სომხური კოლონიის კარგ ორგანიზებულობას, რომლის წყალობით მან შეიარაღებულ შეტაკებაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება მოახერხა.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ბაშარ ასადს მხარს უჭერენ ალავიტები, ქრისტიანები და სხვა უმცირესობათა წარმომადგენლები, რომლებსაც საკუთარი მომავალის შიში აქვთ, თუკი „სირიის თავისუფალი არმია“ გამარჯვებას მოიპოვებს. ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ასადის გადადგომას შესაძლოა უმართავი პროცესები მოჰყვეს. **სირიის სომხურ თემში ასევე მიიჩნევენ, რომ ასადის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ სომხები, შესაძლოა, ისლამისტებისა და სირიული ოპოზიციის დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ რეალურად ისახება ერთობ პესიმისტური სცენარის განხორციელება, რომლითაც **სირიაში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში სომხური დიასპორის უდიდესი ნაწილი იძულებული გახდება დატოვოს ქვეყანა. სადღეისოდ სომხეთის მოქალაქეობის მიღების განცხადებით სათანადო ინსტანციებს რამდენიმე ათასმა სირიელმა სომეხმა მიმართა.** ჯერჯერობით სომეხი თემის მასობრივ მიგრაციაზე, ანდა რაღაც პანიკაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ, არსებული ინფორმაციით, **კომპანია „არმავიას“ ალეპო-ერევნის რეისებზე აგვისტოს დამლევამდე ყველა ბილეთი გაყიდულია.**

ცოტა ხნის წინათ ეს საკითხი სომხეთის მთავრობის დახურულ სხდომაზე განიხილეს. სირიიდან ლტოლვილ სომეხთა შრომით მოწყობაზე უწყებათაშორისი ჯგუფი იზრუნებს. სირიელ სომეხთა განცხადება ლტოლვილის სტატუსის ანდა თავშესაფრის მიღების თაობაზე დაჩქარებულ რეჟიმში 10 დღის ვადაში განიხილება, ხოლო **რაც შეეხება ლტოლვილთა მიღებას, სომეხი ექსპერტები არ გამორიცხავენ მათ მთიან ყარაბაღში განთავსების ვარიანტს.**

ოთარ ტურაბელიძე

არის ფოტოსურათი, ალბათ, 1950-იანი წლების სულ დასაწყისისა. მასზე ბერია გადაღებულია ცოლთან და მდივნებთან ლიუდვიგოვსა და ორდინცევთან ერთად. მომხიბვლელი, მშვენივრად ფორმაშენახული ნინო გეგეჭკორი-ბერია, ქმარზე ხელგადახვეული, მაგრად შეყვარებული თვალებით შესცქერის მას. მოღალატე ქმრებს ასეთი თვალებით ნორმალური ქალები არ შეჰყურებენ.

მემუარების მოყვარულებს, რასაკვირველია, შეუძლიათ, შემახსენონ, მაგალითად, კორა დრობანცევა-ლანდაუს შესახებ, რომელიც არა მხოლოდ მშვიდად ეკიდებოდა ქმრის პერმანენტულ ღალატებს, არამედ ლამის საკუთარ საძინებელ ოთახში უგებდა მას ლოგინს გაუთავებელი თავგადასავლებისათვის... ოღონდ შეიძლება კი ეს კორა ნორმალურ ქალად ჩაითვალოს? როგორც, ალბათ, თვით ლევ ლანდაუ ნორმალურ მამაკაცად?

პლენუმს თუ დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ მისი ფინალური აკორდი გახდა დადგენილება, რომელმაც სათავე დაუდო ლავრენტი ბერიას სახის დემონიზების მრავალწლიან პროცესს; რის შედეგადაც პოლიტბიუროს წევრისა და ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის მარშალის, სოციალისტური შრომის გმირისა და სტალინური პრემიის ლაურეატის ადგილზე აღმოჩნდა „სისხლის მწოველი", „სექსუალური მანიაკი", „ჯალათი", რომელსაც ხელები „სისხლში ჰქონდა" თუ იდაყვამდე, თუ — მუხლამდე...

სიმართლე კი ისაა, რომ მძაფრად და თანდათანობით განვითარებად სსრ კავშირში, რომლის სათავეში იდგნენ ისეთი გამოჩენილი წარმმართველები, როგორც სტალინი და ბერია, ღირსეულ ადამიანებს „სისხლს კი არ სწოვდნენ" — აფასებდნენ და იცოდნენ მათი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

იმ სსრ კავშირში კი, რომლის სათავეში აღმოჩნდა გამოჩენილი შემგუებელი, პარტფუნქციონერი ხრუშჩოვი, ღირსეული ადამიანები არასაჭირონი და მივიწყებულნი ხდებოდნენ...

სტალინსა და ბერიას სჭირდებოდათ ინიციატივიანი და ზედმიწევნით პატიოსანი, მუშაობის შემძლე ადამიანები.

ხრუშჩოვსა და პარტოკრატიულ კომპანიას სჭირდებოდათ შემსრულებლები, რომლებსაც შეეძლოთ პირფერობით გულის მოგება, ყველაფერზე მზადმყოფნი კარიერისა და პირადი გამორჩენის გულისთვის, ნომენკლატურული „კონვერტის" გულისთვის. ამნაირ ატმოსფეროში განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა გაუჩნდათ უკვე აშკარა რენეგატებს, დასავლეთის გავლენის აშკარა აგენტებს.

პარტოკრატიისა და გავლენის აგენტების მიერ ჯერ სისტემური და ზნეობრივი, მერე კი მატერიალური დეგრადაციის გზაზე დაყენებულ ქვეყანას არ შეეძლო, საბოლოოდ, არ მისულიყო დალპობამდე, დაუძლურებამდე და დაღუპვამდე...

ბერიასა და იმისი თანამოაზრეების ჯგუფის საქმის გამოძიება დამთავრდა 1953 წლის 24 დეკემბერს „პრავდაში" ცნობის გამოქვეყნებით: „სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში".

იქ იტყობინებოდნენ 18-23 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო სესიის მიერ „ლ.პ. ბერიასა და სხვათა საბრალდებო სისხლის სამართლის საქმის" განხილვის შესახებ, ჩამოთვლილი იყო ბერიასა და დანარჩენი ექვსი ბრალდებულის (ს.გოგლიძე, ვ.დეკანოზოვი, ლ.ვლოძიმირსკი, ვ.მერკულოვი, პ.მეშიკი, ბ.ქობულოვი) „დანაშაულებები", გამოცხადებული იყო დახვრეტის განაჩენი და მსხვილად იყო დაბეჭდილი: „განაჩენი აღსრულებულია".

გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ცნობათა ერთ-ერთ ყველაზე საიმედო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ, ალბათ, ა.სუხომლინოვის წიგნი. ავტორის, რუსეთის დამსახურებული იურისტის, გამოძიების მასალების შემსწავლელის ყველაზე ფასეულ ჩვენებად, ჩემი აზრით, წარმოდგება შემდეგი:

„კანონის მიხედვით საქმე უნდა გამოძიებულიყო ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად... კანონის მიხედვითვე მტკიცებულებათა შეგროვებისა და შემდგომი შეფასებისთვის ეწყობა პირზე წაყენებები. ამაში არაფერი სირთულე არაა, მით უფრო, რომ ყველა ბრალდებული ერთ ქალაქშია. უხმობენ დაცვას, კაბინეტში ერთმანეთის პირისპირ დასვამენ ორ დასაკითხს და რიგრიგობით უსვამენ საკონტროლო შეკითხვებს. ადგენენ ოქმს... ჰოდა, ბერიას საქმეში პირზე წაყენებები საერთოდ არ მოუწყვიათ. რუდენკოსათვის ამგვარი საგამოძიებო ქმედება უბრალოდ „არ არსებობდა..."

სუხომლინოვი ამაში ხედავს მხოლოდ საგამოძიებო ნორმების უგულებელყოფას განაჩენის წინასწარ გადაწყვეტის შედეგად, ჩემთვის კი ბერიასთან პირზე წაყენებების უქონლობა უკანასკნელი დამაჯერებელი მტკიცებაა იმისა, რომ ის გაუსამართლებლად და უნამუსოდ მოკლეს.

ცხედარს ხომ პირზე წაყენებას ვერ მოუწყობ!

რაღაც მომენტამდე „ლპ"-ის ფიზიკური მოცილება ხრუშჩოველთათვის მაინც სახიფათო იყო... ვაითუ ვინმეს პლენუმზე ან უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაებედა საკითხის დასმა თვით ბერიას მოსმენის შესახებ. ამ სესიაზე საბოლოო საჯარო აუტოდაფეს შემდეგ კი, პირიქით, საშიში გახდა ცოცხლად მისი დატოვება! უკვე ერთი რამ, რომ ცოცხალ ლავრენტი პავლოვიჩს შეეძლო მთელი „საქმის" ჩაშლა, თანაც „თანამოსაქმეთა" მორალურ საყრდენად ყოფნით, დაუყოვნებლივი მოქმედებისკენ უბიძგებდა ხრუშჩოვსა და რუდენკოს...

ოღონდ ერთი დასკვნა ნაღდია: გარკვეულ ხანს ბერია მართლაც იჯდა მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში, მაგრამ რამდენ ხანს? ოფიციალური ვერსიით — 1953 წლის დეკემბრის ბოლომდე, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ლავრენტი პავლოვიჩი დახვრეტილ იქნა 1953-ის შემოდგომის დადგომამდე.

ერთბაშად ვერ გაუსწორდებოდნენ, სარისკო იყო, — რა იცი, როგორ შემობრუნდებოდა ყველაფერი; მაგრამ აი, ეგ „ყველაფერი" შეთქმულთათვის კეთილად დასრულდა. პლენუმზე არავის არ მოუთხოვია ბერიას მოსმენა, დაგეგმილი „საერთო-სახალხო გაკიცხვა"

ავად თუ კარგად შედგა, — „პრავდის" ივლისის ნომრები აჭრელებულია შესაბამისი რეპორტაჟებითა და ფოტოგრაფიებით „ადგილებიდან..."

აგერ, უმაღლესი საბჭოს სესიამაც ჩაიარა... და აგრეთვე შეუფერხებლივ ნიკიტასა და ცკ-ის პრეზიდუმისთვის. რუდენკო და მისი საგამოძიებო გუნდი უკვე მთელი ძალით მუშაობდნენ მაშინ დაპატიმრებულ გოგლიძესა, დეკანოზოვსა, ვლოძიმირსკისა, მეშიკსა და ქობულოვთან (მერკულოვი მოგვიანებით დააკავეს); და საჭირო იყო მათი მაქსიმალურად მალე გატეხვა და ბერიას ტოტალური დისკრედიტაციის პროცესში შეტყუების იძულება. „ლპ"-ის სიკვდილი აქ შეიძლებოდა გამხდარიყო და უთუოდ გახდა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც უზრუნველყო რუდენკოსათვის სასურველი ბრალდებულთა ქცევა.

კაცმა რომ თქვას, უკვე ბერიასთან პირზე დაყენების არქონა იმისი დაპატიმრებული თანამოღვაწეებისთვის, რომელთაგანაც ყოველი თავად გახლდათ გამოცდილი გამომძიებელი, იყო აშკარა მტკიცებულება, რომ „ლპ" ცოცხალი აღარ არის. შესაძლოა, გამოძიებაში მყოფთ ბერიას გვამიც კი აჩვენეს, ან გვამის ფოტოსურათები.

აბა, ამის მერე რა ძნელი იქნებოდა დაპატიმრებულთაგან ნებისმიერი „აღიარების" მიღება თითქოსდა „ლპ"-ისა და თვით მათი მონაწილეობის შესახებ — წამებებში, ცემებში, ჯალათობაში, თითქოსდა ანგარიშსწორებაში არასასურველებთან — ამიერკავკასიასა და მოსკოვში რეპრესიების მსვლელობისას...

ბერია რომ 1953 წლის ზაფხულშია მოკლული — მისი „საქმის" გამოძიების დაწყებამდე — ამაში გვარწმუნებს ა.სუხომლინოვის წიგნში ფაქსიმილურად ასახული იმ დოკუმენტების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია განაჩენთა აღსრულებასთან 1953 წლის დეკემბერში.

განკარგულება „ლპ"-ის „დახვრეტაზე" და აქტი მის „დახვრეტაზე" 1953 წლის 23 დეკემბერს 19 საათსა და 50 წუთზე — ესაა დოკუმენტები, განცალკევებულები გოგლიძის, დეკანოზოვის, ვლოძიმირსკის, მერკულოვის, მეშიკისა და ქობულოვის დახვრეტაზე განკარგულებისა და დახვრეტის აქტისგან (1953 წლის 23 დეკემბერს 21 საათზე).

ორივე განკარგულება ხელმოწერილია სპეციალური სასამართლო სესიის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშალ კონევისაგან; ოღონდ თუ ბერიას „დახვრეტის" განკარგულება მიმართულია „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო სესიის კომენდანტის, გენერალ-პოლკოვნიკ პ.ბატიცკის" სახელზე, დანარჩენთა დახვრეტის განკარგულება გადაეგზავნა „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-პოლკოვნიკ ს.კრუგლოვს".

იგივე ემართება განაჩენის აღსრულების აქტებსაც. „ლპ"-ის დახვრეტის აქტი დათარიღებულია 1953 წლის 23 დეკემბრით, ხელმოწერა ბატიცკისაა (ვითომ შემსრულებლისა) და კიდევ ვითომ ამის დამსწრე გენპროკურორის რუდენკოსი და არმიის გენერალ მოსკალენკოსი. ეს სამეული ერთმანეთთან მკვიდრად შეკრული იყო ბერიას „საქმეში" მონაწილეობით ჯერ კიდევ 1953 წლის ივნისიდან და მხოლოდ მათთვის შეიძლებოდა დიდი ხნის მოკლული „ლპ"-ის „დახვრეტაში" დეკემბრის „მონაწილეობის" მინდობა.

1953 წლის დეკემბრისთვის ჯერ კიდევ ცოცხალ თანამოაზრეთა რეალური დახვრეტა კი შეიძლებოდა მიენდოთ შსს-სა და მოსკოვის სამხედრო ოლქის კაცებისათვის, რომლებმაც ქნეს კიდევაც ეს: მინისტრის პირველმა მოადგილემ კ.ლუნევმა, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილემ დ.კიტაევმა, ოლქის ჯავშანსატანკო ჯარების სარდალმა ა.გეტმანმა და ვინმე გენერალ-მაიორმა ნ.სოპილნიკმა...

დამახასიათებელია, რომ თუ დეკემბერში რეალურად დახვრეტილი ექვსი ადამიანის სიკვდილი აქტში ექიმის ხელმოწერითაა დადასტურებული, ბერიას „დახვრეტის" აქტში ასეთი ხელმოწერა არაა.

არც „ლპ"-ის გვამის კრემაციის აქტი არსებობს, თუმცა დანარჩენთა — დეკემბერში რეალურად დახვრეტილთა — შემთხვევაში ამგვარი აქტი შედგენილია.

ა.სუხომლინოვი ყველა ამ შეუპირაპირებას იმით ხსნის, რომ „სიკვდილით დასჯის სხვა ადგილას ბერიას ტრანსპორტირების აუცილებლობა არ იყო" და ბატიცკიმ ის „სიამოვნებით" დახვრიტა პირდაპირ ბუნკერშიო (სადაც თითქოს ხის ფარი მიიტანეს რიკოშეტის გამოსარიცხად); და ბუნკერიდან კი ცხედარი კრემატორიუმში წაიღესო, დოკუმენტურად არაფრის გაუფორმებლადო. არადა, როგორც თვით სუხომლინოვი წერდა „ლპ"-ის მისამართით ერთ-ერთი ბრალდების გამო, „ჩმახია ეს ყველაფერი!"

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, არც ისე მნიშვნელოვანია პრობლემის არსისათვის, თუ ფიზიკურად როდის და როგორ მოსპეს ლავრენტი პავლოვიჩ ბერია.

მნიშვნელოვანი და არსებითია, თუ რატომ დააპატიმრეს და მოსპეს; და ამ კითხვას — უკვე ბევრნაირად, როგორც ეს მგონია, მკითხველისთვის გარკვეულს, ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით...

ორგულობის ზეიმი და ზეკომპეტენტურობის ტრაგედია

ბერიას უდანაშაულობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე იმითაც მტკიცდება, თუ რანაირად დასდეს საჯაროდ ბრალი და გამოუტანეს საჯაროდ მსჯავრი.

ადრე სსრ კავშირში სახელმწიფო დანაშაულებში ბრალდებული პოლიტიკური ლიდერებისთვის მსჯავრი გამოჰქონდათ ღია პოლიტიკურ პროცესებზე. სტალინს არ ეშინოდა ხალხისთვის ხალხის მტრების წარდგენა და ჩვენება, რომ ისინი იმსახურებენ მსჯავრს. ლავრენტი პავლოვიჩის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იყო. მისი სამოქალაქო დასჯა დასრულდა 1953 წლის 8 აგვისტოს, ოღონდ როგორ!

5-დან 8 აგვისტომდე მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. 8-ში გამოვიდა სესიის დადგენილება, ხელმოწერილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კლიმენტ ვოროშილოვისა და მდივნის ნიკოლოზ პეგოვისაგან:

„ლ.პ. ბერიას გამოაშკარავებული დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გამო, რაც მიმართული იყო საზღვარგარეთული კაპიტალის ინტერესებში საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრისკენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ.პ.ბერიასთვის დეპუტატის რწმუნებათა ჩამორთმევაზე, მოიხსნას ის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტებიდან ყველა მისთვის მინიჭებული წოდებისა და ჯილდოს ჩამორთმევით და საქმე ლ.პ.ბერიას დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს".

თარგმნა
თამაზ ეგანოიძემ

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-152, 154-155

◎ ჭადრაკი

ქართველები — მსოფლიოზე

ფიდემ **თავის საიტზე გამოაქვეყნა იმ მოჭადრაკე ქალთა სია, რომლებიც წლეულს 9 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებას კი რუსული ხანტი-მანსიისკი უმასპინძლებს.** ტურნირის საპრიზო ფონდია 450.000 დოლარი. პირველობა ნოკაუტსისტემით 6 რაუნდად გაიმართება. მედლებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი იბრძოლებს. ტურნირის სტარტზე გამარჯვებული (პირველ ხუთ რაუნდში მოჭადრაკეები 2-2 კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. თუ ეს საკმარისი არ იქნება მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, მაშინ უძლიერესს ტაიბრეიკები გამოავლენს. ფინალური პაექრობისას მეტოქეები ოთხჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს) 3.750 დოლარს მიიღებს, მეორეში — 5.500-ს, მესამეში — 8.000-ს, მეოთხეში — 12.000-ს, მეხუთეში — 20.000, ფინალში — 30. 000-ს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი — 60.000 დოლარით დაჯილდოვდება.

ხანტი-მანსიისკში საქართველოს 6 წარმომადგენელი იასპარეზებს. ესენი არიან: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი. თუ ვის შეხვდებიან ისინი, მოგვიანებით გაირკვევა.

ახალგაზრდებს პრაღა მასპინძლობს

ჩეხეთის **დედაქალაქ პრაღაში დღეს დაიწყება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს (დელეგაციის ხელმძღვანელი აკაკი იაშვილი, მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავა) 21 წარმომადგენელი იასპარეზებს. ასაკების მიხედვით საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ: 8-წლიანებში** — საბა ლომსაძე, ნიკოლოზ კაჭარავა, სალომე ბეიტრიშვილი, დიანა ლომაია, **10-წლიანებში** — ლუკა ობოლაძე, დიმიტრი ჯიბუტი, თამარ ესაძე, ანასტასია სიდამონიძე, ანტონ ნადირაძე, **12-წლიანებში** — კოკა ბუკია, ლუკა გოგია, ნატა ჯიბუტი, **14-წლიანებში** — გიორგი სიბაშვილი, თამარ ფაშკურიძე, ნინო ხომერიკი, **16-წლიანებში** — ირაკლი ბერაძე, დეა გოგიშვილი, **18-წლიანებში** — ნატო იმნაძე, ნანი უნაფქოშვილი, ანა შამათავა და შალვა ნადირაშვილი.

ლექსო ცინცაძე

◎ კოლეგა

ამაგის დაფასება

ქართული **სპორტული ჟურნალისტიკის ფლაგმანს — გაზეთ „ლელოს“ წლეულს დაარსებიდან 78 წელი შეუსრულდა. 1985 წლიდან ამ ეროვნულ გამოცემას სათავეში უდგას დამსახურებული ჟურნალისტი, მრავალი წიგნის ავტორი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი თენგიზ გაჩეჩილაძე, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ამცნობდა ქართველ მკითხველს ლონდონური ბატალიების ცინცხალ ამბებს.** ბატონ თენგიზს სხვა დროსაც არაერთხელ უცნობებია გულშემატკივრებისთვის ქართველ სპორტსმენთა წარმატებები. ღვაწლმოსილ მემატიანეს ამაგი დაუფასდა. ლონდონში XXX საიუბილეო ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დღეებში სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიზმის ისტორიაში პირველად დააჯილდოვა ის 100 ჟურნალისტი, რომლებიც თავიანთი ქვეყნიდან ათჯერ და მეტჯერ იყვნენ აკრედიტებულნი ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. დაფასებულთა შორის გაზეთი „ლელო“ და მისი მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძეც მოხვდნენ. რჩეულთა დაჯილდოება ბრიტანეთის დედაქალაქში 2 აგვისტოს გაიმართა. სამახსოვრო საჩუქარი — ოლიმპიური ჩირაღდანი ლონდონის თამაშების ოქროს ემბლემით ლაურეატებს სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა გადასცეს.



„ეს არის უძველესი ქართული სპორტული გაზეთის — „ლელოს“ დამსახურება და აღიარება, ეს დაფასება თანაბრად ეკუთვნის „ლელოს“ ყველა თაობის ჟურნალისტს. რომ არა მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ეს დღეც არ დადგებოდა. დიდი მოწიწებით ვუძღვნი ამ აღიარებას მიხეილ კაკაბაძის, ზურაბ ჯაფარიძის, ნოდარ გუგუშვილის, ბიჭიკო ქორქიას, ჯიმშერ ენუქიძის, ოთარ ნოზაძის, ოთარ გელაშვილის, ნუგზარ შატაიძის ნათელ ხსოვნას. ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ფლაგმანისთვის ეს დღე არც მაშინ დადგებოდა, ძალიან კრიტიკულ დროს პრობლემების დაძლევაში „ლელო“ საგამომცემლო სახლ „მედიაპალიტრას“ თავის ფრთებქვეშ რომ არ შეეფარებინა. მადლობა ყველას, ვისაც ამ აღიარებასა და დაფასებაში წვლილი მიუძღვის“, — გვითხრა თენგიზ გაჩეჩილაძემ.

ვაჟა დანელია

სურათზე: თენგიზ გაჩეჩილაძე სამახსოვრო პრიზთან ერთად.

ავტორის ფოტო.

◎ კალათბურთი

ევროვნებანი

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ნაკრებები 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებნენ და ფინალური ეტაპის საგზურებისთვის ბრძოლა დაიწყეს. 31 გუნდი ექვს ჯგუფშია გადანაწილებული (A ჯგუფში 6 გუნდია), სლოვენიაში დაგეგმილ ფინალურ ეტაპზე გამგზავრების უფლებას კი 16 საუკეთესო მიიღებს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ გათამაშების ფორმატს: ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო ანუ 12 ნაკრები ევრობასკეტზე თამაშის უფლებას ავტომატურად მიიღებს, ისევ როგორც, ექვსი მესამეადგილოსნიდან 4 საუკეთესო. ამგვარად, გამოვლენილი 16 ნაკრები იმ 8 გუნდს შეუერთდება, რომელიც ევროპირველობაზე პირდაპირ არის დაშვებული.

რჩეული რვეული ასე გამოიყურება: მასპინძელი სლოვენია და ოლიმპიადაზე და მის საკვალიფიკაციო ტურნირში მოთამაშე მაჯედონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ლიტვა, რუსეთი და ესპანეთი.

ცხადია, შესარჩევ ციკლში ჩვენს ყველაზე დიდ ინტერესს D ჯგუფის მატჩები იწვევს, სადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეტოქეებად ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჰოლანდია, რუმინეთი და ლატვია ეყოლება.

გუშინ საქართველო ისვენებდა, რუმინეთმა სიბიუში ჰოლანდია მიიღო, ხოლო ბოსნია-ჰერცოგოვინა სარაევოში ლატვიას დაუხვდა. ცენტრალურად სწორედ ეს უკანასკნელი მატჩი მიიჩნეოდა, რომელშიც, წინასწარი პროგნოზებით, ქართველთა უმთავრესი კონკურენტები თამაშობდნენ.

შეგახსენებთ, რომ ლატვიელთა მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგატსკისი გახლავთ, რომელიც გასულ სეზონში საკალათბურთო კლუბ „სოხუმს“ ავარჯიშებდა. აი, რა განაცხადა მან მომავალი ბატალიების წინ:

„ექვსკვირიანი მზადების პროცესში დიდი სამუშაო გავწიეთ. მადლობას ვუხდი ბიჭებს, რომელთაც თავი არ დაუზოგავთ, რათა შესარჩევ ციკლს სრულ მზადყოფნაში შეხვედროდნენ. გუნდი ფიზიკურად და ტაქტიკურად კარგად არის მომზადებული, ერთადერთი, რაც მადარდებს, ასეთ მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილების ნაკლებობაა.

მეტოქეები საკმაოდ ძლიერები არიან. ბოსნიას და საქართველოს ევროლიგაში ჩვენზე მეტი კალათბურთელი ჰყავთ. სიურპრიზი იყო ამხანაგურ მატჩებში ჰოლანდიის ნაკრების შედეგიანი ასპარეზობაც. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი მიზანი ზედიზედ მეშვიდედ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ“.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ

გუნდში აღარ ითამაშებს ლიტვური „ლიეტუვას რიტასის“ ვეტერანი უკანახაზელი იანის ბლუმსი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ლატვიელთა გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ და შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო საშუალო მაჩვენებლებიც ჰქონდა: 16 ქულა, 3.2 მოხსნა და 4 პასი.

საინტერესოა ისიც, რომ ბაგატსკისმა სარაევოში სათამაშოდ მხოლოდ 11 კალათბურთელი ჩაიყვანა: იანის შტრელნიეკსი („სპარტაკი“ ს-პ, რუსეთი), ედგარს იერომანოვსი („ნორჩიოპინგი“, შვედეთი), კასპარს ვეჩვაგარსი („ბალტაი“. ლიტვა), დაირის ბერტანსი (ვეფ), რიჰარდს კუკსიკსი („ვალენსია“, ესპანეთი), დევის ბერტანსი („პარტიზანი“, სერბეთი), მარეკს მეიერისი („კლავიო“, ესპანეთი), არტურს ბერზინსი („ვენტსპილსი“), როლანდს ფრეიმანისი („ხირონა“, ესპანეთი), კასპარს ბერზინსი (ვეფ), მარტინს მეიერსი (“ვენტსპილსი“).

ჩინებულ ხასიათზე შეხვდნენ სასტარტო მატჩს ბოსნიელები, რომელთაც მოსამზადებელ ციკლში შთამბეჭდავი თამაში აჩვენეს. ალეკსანდარ პეტროვიჩის გუნდმა ლიუბლიანაში გამართულ „ოთხთა ტურნირზე“ მხოლოდ სერბებთან წაიფორხილა (91:101), მასპინძელ სლოვენიას (80:79) და ხორვატეთს (78:69) კი მოუგო და მე-2 ადგილი დაიკავა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბოსნია-ჰერცოგოვინამ ავსტრია 82:69 დაამარცხა, გასულ უქმეებზე კი დასკვნითი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ან უკვე „ბრუკლინ ნეთსის“ წევრ მირზა ტელეტოვიჩის (33 ქულა) და იტალიურ „ვირტუსში“ რიცხული ნიჰად დედოვიჩის (26) ჩინებული თამაშის წყალობით პორტუგალიას 91:81 სძლია.

ბოსნიელთა მთავარმა მწვრთნელმა ლატვიასთან მატჩის განაცხადისთვის შემადგენლობა ამ კალათბურთელებიდან აარჩია: ზაკ რაიტი („პანიონიოსი“, საბერძნეთი), ნემანია გორდიჩი („ვირტუსი, იტალია), მუჰამედ პასალიჩი („კავალა“, საბერძნეთი), ნიჰად დედოვიჩი („ვირტუსი“, იტალია), ნემანია მიტროვიჩი („პორტლენდ პილოტსი“, აშშ), დალიბორ პერშიჩი („შიროკი“), ივან ოპაჩაკი („ცედევიტა“, ხორვატეთი), ანტე მაშიჩი („ზაგრები“, ხორვატეთი), მირზა ტელეტოვიჩი („ბრუკლინ ნეთსი“), ედინ ბავჩიჩი („დრამა“, საბერძნეთი), ნეჯად სინანოვიჩი („მალაგა“, ესპანეთი), ელმედინ კიკანოვიჩი („ენისეი“, რუსეთი), ოგნიენ კუზმიჩი („მალაგა“, ესპანეთი), იოზო ბრკიჩი („ცაპლინა“), იუსუფ ნურკიჩი („ცედევიტა“, ხორვატეთი).

2013 წლის ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპი:

D **ჯგუფი**: საქართველო, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ლატვია, ჰოლანდია, რუმინეთი.

18 აგვისტო. საქართველო — რუმინეთი, ჰოლანდია — ბოსნია-ჰერცოგოვინა.

21 აგვისტო. ლატვია — ჰოლანდია, ბოსნია-ჰერცოგოვინა — საქართველო.

24 აგვისტო. რუმინეთი — ბოსნია-ჰერცოგოვინა, საქართველო — ლატვია.

27 აგვისტო. ჰოლანდია — საქართველო, ლატვია — რუმინეთი.

30 აგვისტო. ლატვია — ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჰოლანდია — რუმინეთი.

2 სექტემბერი. რუმინეთი — საქართველო, ბოსნია-ჰერცოგოვინა — ჰოლანდია.

5 სექტემბერი. ჰოლანდია — ლატვია, საქართველო — ბოსნია ჰერცოგოვინა.

8 სექტემბერი. ბოსნია-ჰერცოგოვინა — რუმინეთი, ლატვია — საქართველო.

11 სექტემბერი. საქართველო — ჰოლანდია, რუმინეთი — ლატვია.

A **ჯგუფი**: სერბეთი, ისრაელი, ესტონეთი, სლოვაკეთი, მონტენეგრო, ისლანდია.

B **ჯგუფი**: გერმანია, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, შვედეთი.

C **ჯგუფი**: ხორვატეთი, უკრაინა, ავსტრია, კვიპროსი, უნგრეთი.

E **ჯგუფი**: ფინეთი; პოლონეთი, შვეიცარია, ალბანეთი, ბელგია.

F **ჯგუფი**: თურქეთი, იტალია, ჩეხეთი, ბელარუსი, პორტუგალია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ანას წარმატებული სტარტი

ცინცინატიში **გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2.168,400 დოლარი), რომელშიც წარმატებით ასპარეზობს 22 წლის ანა ტატიშვილი.** ერთეულთა თანრიგის პირველ ეტაპზე (ქართველი სპორტსმენი ძირითად ბადეში ტრავმირებული ანა ივანოვიჩის ნაცვლად დაუშვეს) მან დაძაბულ ბრძოლაში აჯობა ჩეხ კლარა ზაკოპალოვას — 7:6, 7:5. მეორე წრეში იგი ნადია პეტროვას მძლეველ ეკატერინა მაკაროვას (ორივე — რუსეთი) დაუპირისპირდება. საგულისხმოა, რომ ტატიშვილი მაკაროვასთან ერთად ცდის ძალებს წყვილებში. ასპარეზობის სტარტზე მათ ბეტან მატეკ-სანდსის (აშშ) და სანია მირზას (ინდოეთი) დუეტი დაჯაბნეს — 2:6, 6:1, 10:8 და მეორე წრეში კატერინა სრებოტნიკსა (სლოვენია) და ცზიე უანს (ჩინეთი) დაუპირისპირდებიან.

გივი გაგუა

„ჩასაფრებულის“ ჩანაწერები

მაიაკოვსკის გახსენებით

რა კარგია, რომ სახელისუფლებო დონეზე გაიმართა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან უგუნურად ატეხილ, უთანასწორო, აპრიორულად (იმთავითვე) წაგებულ ომში დაღუპულთა ხსოვნის ხუთდღიური და ყაყაჩოებით მკერდზე თუ უყაყაჩოებოდ, იმათ წმინდა სახელებს ჯეროვანი პატივი მიეგო.

რა კარგია, რომ ერთ კინორეჟისორს დოკუმენტური ფილმი გადაუღია იმ 17 ქართველ ვაჟკაცზე, რომლებმაც სოფელ შინდისში მაშინ ასეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რიცხობრივად თუ საბრძოლო ტექნიკით ბევრად აღმატებულ მომხდურთ და ერთსულოვნად გაწყდნენ მშობლიური მიწისათვის...

ვლადიმერ მაიაკოვსკის მობობოქრე, მჭექარე პოეზია შორეული სიყმაწვილიდან მიყვარს და თუმცა ცოტა გულნატკენი ვარ, რომ თავისი ქართველობა მხოლოდ კავკასიონზე ფეხის დადგმისას ახსენდებოდა („Только нога ступила на Кавказ, я вспомнил, что я — грузин...“) — გუნებაში მაინც ხშირად მივმართავ ხოლმე.

აგერ ახლაც, წმინდა ხუთდღიურის ჩავლის მერე, ვინც „საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი იყო და ასეთად დარჩა“ (იოსებ სტალინი), იმისი ეს სტრიქონები ამეკვიატა:

„Слава, слава, слава героям... Впрочем, им довольно воздали дани... Теперь поговорим о дряни...“

დიახ, სისაძაგლეზეც ვილაპარაკოთ, რაც 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომს ასეთი დიდი დოზით ახლდა, ოღონდ, მარტო პრესის ფურცლებიდან კი არა — მართალმა გაზეთებმა (ჩვენმაც იმათ რიცხვში), მთელი ეგ მაშინდელი თანმხლები საზიზღრობა უკვე არაერთგზის გამოიტანეს მზის სინათლეზე — დოკუმენტური ეკრანიდანაც ვილაპარაკოთ! ჰო, დოკუმენტური ფილმი იმ არაერთ სისაძაგლეზეც გადავიღოთ, რაც მაშინ ვიხილეთ, რატომაც არა!

მაგალითად, თუ როგორ ფორთხავდა გორში, მეჯვრისხევის ქუჩის მიწაზე, რუსული თვითმფრინავის ხმით შეშინებული, პანიკაპყრობილი, ა-ცა-ხ-ცა-ხებული ქვეყნის პირველი პირი, პრეზიდენტი (იმ ცას მიე-ცა მაგისი ცოდვა...), შეთავსებით, უმაღლესი მთავარსარდალი; ხოხავდა უმდაბლეს პოზაში, „ძეგლად გადამეფარე“ დაცვის ქვეშ... (აქვე სათქმელად, იმ მომენტში უპატრონოდ, უკადრისად ჰყავდა მიტოვებული საპატიო სტუმარი, პარიზიდან დასახმარებლად ჩამოსული საგარეო საქმეთა მინისტრი საფრანგეთისა...); და მერე, კვლავ აპანიკებული, როგორ ღეჭავდა სუშისა და სხვა ნუგბარებს მიჩვეული პირით ჰალსტუხის ბოლოს...

მეორე მაგალითად, თუ როგორ მოგვიწოდებდა ქვეყნის მეორე პირი, იგივე პარლამენტის თავმჯდომარე, მტერთან საბრძოლველად საფურშეტე დანა-ჩანგლით შეიარაღებასა და გამოსვლას...

მესამე მაგალითად, თუ როგორ გასრიალდა საკუთარი თუ სამთავრობო ავტომანქანებით, „სააზერბაიჯანო“ წითელი ხიდისკენ, გასაქცევად მზადმყოფი სახელისუფლებო და პარლამენტური ელიტა და გამწკრივდა კიდევაც სირცხვილისაგან კიდევ უფრო განითლებულ ხიდთან; სხვათა შორის, თავისიანთა შორის, როგორც უბოროტო ენებიც ამბობენ, უშიშროების საბჭოს მდივანიც ბრძანებულა — სულში ჭირიმე, გულში ჭირიმე, უშიშროებაში ჭირიმე!..

„შთამბეჭდავკადრებიანი“ დოკუმენტური ფილმი გამოვა, ხომ მართალია?.. ჰოდა, თუ მართალია, საგაისედ დაველოდებით, იმ ავბედითი ომის ერთგვარად „მრგვალი“ ხუთი წლის საიუბილეოდ.

ბერდია ბედოიძე

P. S. (ხელმოწერის შემდეგ მინაწერი!) — კინაღამ დამავიწყდა... სისაძაგლეებზე გადასაღები მომავალი „დაგეგმილი“ დოკუმენტური ფილმისათვის სავსებით შესაფერისი და მისაღები იქნება ამგვარი „ჰეპი ენდი“ (ბედნიერი დასასრული): წაგებულ ომში გამარჯვებას როგორ ზეიმობს, 2012 წლის აგვისტოს თორმეტ რიცხვში, ათასობით ბოდიში-და, შერეკილი ქართველი, ნაცთაგან აგიტიზებული, უდროოდ და უადგილოდ ატაშფანდურებული... უკეთესი დოკუმენტურობა ძნელი წარმოსადგენია...

ბ. ბ.

ეპიტაფია

ცად ამაღლებული

ნელი გელაშვილი-გადელიას ხსოვნას

ეს ორმოცი დღეც მიილია. მიილევა ორმოცი თვეც და გრძელი ორმოცი წელიწადიც, მაგრამ ისეთი დიდებული ადამიანის სული, როგორიც ღვთისგან დედამიწაზე მოვლენილი ქალბატონი **ნელი გელაშვილი-გადელია** ბრძანდებოდა, მარადიულად ჩვენ გვერდით დარჩება, როგორც მფარველი ანგელოზი.

იგი მთელი ცხოვრება სულ ახალ და ახალ თაობებს უზრდიდა საქართველოს. ამიტომ იყო, რომ ის მარადიული სამყოფელი, რომლითაც ქალბატონი ნელი თავისი ჭეშმარიტად სამაგალითო ოჯახიდან გამოასვენეს, სწორედ ახალგაზრდებს ეჭირათ, თვითონ ქალბატონ ნელის მიერ აღზრდილ ახალგაზრდებს, რომელთაც ცხოვრების არცთუ იოლ გზაზე მუდამ სიკეთისა და სიყვარულის სანთლად ენთებათ თავიანთი უკეთილშობილესი აღმზრდელის სიყვარული.

იმ დღეს ბევრი ალალი ცრემლი დაეპკურა ქალბატონი ნელის წმინდა სამარეს. ეს იმ მადლიერი ადამიანების ცრემლი იყო, ვისაც არასოდეს არ დაავიწყდება გაჭირვებულთა მიმართ ეს მუდამ კეთილისმყოფელი და მეოხი, ულალატო ღვთისშვილი.

მთელი გულითა და შეგნებით გვჯერა, რომ ქალბატონ ნელის სული, უკვე ცად ამაღლებული, ამჟამად დიდი სინათლით გაჩახჩახებულ სასუფეველშია.

ოჯახი და მადლიერ მეგობართა ჯგუფი

ინფორმაცია

თურმე ელისო ჩაფიძის ლიკვიდაციას გეგმავენ

მაძვს მასალა, სადაც სპეცსამსახურების მიერ ჩემი ლიკვიდაციის გეგმაზეა ლაპარაკი , — ამის შესახებ ტყიბულში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ელისო ჩაფიძე გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ინტერვიუში აცხადებს.

— ხელისუფლებამ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა ბინძური მეთოდებით დაიწყო. გასულ კვირას მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება... ხელთ მაქვს მასალა, სადაც სპეცსამსახურების მიერ ჩემი ლიკვიდაციის გეგმაზეა ლაპარაკი, ეს მასალა უკვე გადავეცით რამდენიმე საელჩოს. სწორედ თავდაცვისთვის გადავწყვიტე ინფორმაცია გამევრცელებინა. აგრეთვე, მინდა განვაცხადო, რომ მტკიცებულებები ტყიბულში არ ინახება და საიმედო, დაცულ ადგილას არის, — აცხადებს ჩაფიძე.

მისივე განმარტებით, ადგილობრივ კუდ-ის თანამშრომლებს მიღებული აქვთ დავალება, მოიპოვონ აუდიო და ფოტომასალა მისი გადაადგილების მარშრუტის შესახებ.

— არსებობენ მოწმეები და მაქვს იმ თათბირის ჩანაწერი, რომელზეც ტყიბულის კუდ-ის უფროსი კობა შარვაძე თანამშრომლებს ავალებს, დეტალურად შეისწავლონ ჩემი გადაადგილების მარშრუტი, გაარკვიონ ჩემი ავტომობილის ტექნიკური მხარე, სად ვაყენებ ავტომობილს და რომელ მხარეს უფრო ხშირად ვჯდები მანქანის სალონში, — ამტკიცებს დეპუტატობის კანდიდატი.

ელისო ჩაფიძე პრეზიდენტსა და ძმებ კუბლაშვილებს მიმართავს და აღნიშნავს, რომ თუ მას ან მისი ოჯახის წევრებს „თმის ერთი ღერიც ჩამოუვარდებათ“, პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

ცხელი ამინდები შენარჩუნდება

საქართველოში ცხელი ამინდები შენარჩუნდება. ამის შესახებ ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა.

— აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით ცხელი ამინდები იქნება, ტემპერატურა დაახლოებით 28-33 გრადუსამდე ავა. 19 აგვისტოს კი მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, — განაცხადა ნიორაძემ.

დასავლეთ საქართველოში კი, 17 აგვისტოდან ტემპერატურის დაწევა და წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.

კვირის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროზე 24-26 გრადუსი სითბო იქნება, ხოლო დასავლეთის სხვა რეგიონებში 32 გრადუსი დაფიქსირდება.

გალის რაიონიდან 9 წლის ბავშვი გაიტაცეს

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებიდან სამშაბათ ღამით 9 წლის ბექა ჭაავა გაიტაცეს, — ამის შესახებ სამეგრელოსა და ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, გატაცების დროს ბავშვი სახლში მარტო იმყოფებოდა.

— ჭაავების ოჯახში შევიდა ხუთი შეიარაღებული ნიღბიანი პირი და ბავშვი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. კონფლიქტის 20 წლის განმავლობაში ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ამგვარი ფაქტი არასოდეს მომხდარა, რომ ბავშვის სიცოცხლეს დამუქრებოდნენ. როგორც ჩანს, არსებული მდგომარეობა უკვე საშიშ სახეს იღებს. გამტაცებლები ოჯახს ამ დრომდე არ დაკავშირებიან და, შესაბამისად, ბავშვის სავარაუდო ადგილსამყოფელზე ჯერ ინფორმაცია არ გვაქვს, — აღნიშნა თორნიკე კილანავამ.

მისივე განმარტებით, მომხდარზე უკვე ინფორმირებულია ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რათა მათ დროული რეაგირება მოახდინონ და ხელი შეუწყონ ამგვარი ფაქტების თავიდან აცილებას.

ინტერპრესნიუსი

ჩვენი კარაბადინი

15 წუთით ვარჯიში სიცოცხლეს 3 წლით ახანგრძლივებს

ღირს კი, რომ უარი ვთქვათ სპორტზე ან ფიზკულტურაზე ასაკის გამო? არავითარ შემთხვევაში, ამბობენ ექსპერტები! მთავარია, დატვირთვა იყოს შესაძლებელი და გვანიჭებდეს კმაყოფილებას!

ყოველდღიურად სულ 15 წუთით ვარჯიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს მთელი სამი წლით, დაადგინეს ტაივანის ჯანმრთელობის კვლევის ეროვნული ინსტიტუტის მკვლევარებმა. მათ 13 წლის განმავლობაში 416 ათასზე მეტი კაცი გამოიკვლიეს, ერთმანეთს უდარებენ ფიზკულტურაში მათი ჩაბმის ხარისხსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. გამოირკვა, რომ ზომიერი ვარჯიში 10-ჯერ ამცირებს სხვადასხვა სახის კიბოს განვითარების რისკს. სხვათა შორის, ასევე წარმატებით შეიძლება ვარჯიშობდე ფიზიკურად დღეგამოშვებითაც, მთლიანად უნდა მოაგროვო 100 წუთი კვირაში — მაგრამ არა ერთ დღეს.

მოძრაობა უდრის დამოუკიდებლობას

ასაკის მომატებასთან დაკავშირებით, ბევრ ადამიანს, სამწუხაროდ, არ შეუძლია მოემსახუროს თავის თავს. თანაც სულ უფრო და უფრო ხშირად ეს შეეხება არა 90 წლის მოხუცებს, როგორც ეს შეიძლება იფიქროს კაცმა, არამედ უფრო ახალგაზრდებს — 60-70-წლისანებს. მეცნიერთა ჯგუფმა სამედიცინო კვლევის საბჭოდან (დიდი ბრიტანეთი) გადაწყვიტა გაერკვია, თუ აისახება ფიზკულტურით დაკავებულ ადამიანებში ჩვევები შესაძლებლობაზე დამოუკიდებლად მოემსახურონ თავიანთ თავს ასაკის მატებასთან ერთად.

გამოკვლევა რამდენიმე ათეული წელი გრძელდებოდა, მისი მსვლელობის დროს აფასებდნენ ერთი და იგივე ადამიანების ფიზიკურ მდგომარეობას 36, 43 და 53 წლების ასაკში. შედეგებს ადარებდნენ იმას, თუ რამდენად ფიზიკურად აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ ისინი. აფასებდნენ, უწინარეს ყოვლისა, სხეულის ზედა ნაწილის კუნთების მდგომარეობას (სწორედ ისინი იტანჯებიან პირველ რიგში ვარჯიშების არარსებობის გამო). მეორე, უნარს, შეინარჩუნონ სხეულის ბალანსი დგომის დროს (ეს არის ორგანიზმში ნეიროკუნთური და სენსორული კავშირების მაჩვენებელი). მესამეც, — ეგრეთ წოდებული „სავარძლიდან წამოდგომის ტესტი“ — სხეულის ძალისა და ამტანობის მარკერი. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ყველაზე აქტიურები იყვნენ სამივე ასაკში, 80 წლის შემდეგ უჩვენებდნენ საუკეთესო შედეგს ტესტში სავარძლიდან წამოდგომაზე.

მათ, ვინც ყველაზე აქტიურები იყვნენ. 43-53 წლებში, თავიანთი საუკეთესო შედეგები აჩვენეს ტესტში სხეულის ბალანსზე ფეხზე დგომის დროს. დაბოლოს, მათ, ვისი აქტიურობის პიკი 53 და უფრო მეტ წელზე მოდიოდა, შეეძლოთ ეტრაბახათ კორპუსის მხოლოდ ზედა ნაწილის კუნთების მდგომარეობით. ამ უკანასკნელს მეცნიერები განმარტავენ იმით, რომ 53 წლის შემდეგ აქტიურობის პიკი ჩვეულებრივად დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანი გავიდა პენსიაზე და ის გაიტაცა მებაღეობამ აგარაკზე და სოფელში, სადაც ბევრს შრომობს.

აღმოჩნდა: რომელ ასაკშიც არ უნდა აგემაღლებინათ თქვენი ფიზიკური აქტივობის დონე (ეს შეეხება როგორც ფიზკულტურას, ისე უბრალოდ მოძრაობას ჩვეულებრივ ცხოვრებაში), ეს გიხანგრძლივებთ ცხოვრებას და უნარს თავადვე მოემსახუროთ საკუთარ თავს ისე, რომ არავისზე იყო დამოკიდებული.

შანსი — იცოცხლო 40 პროცენტით უფრო მეტი

შეგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თითოეულ ადამიანს ურჩევს კვირაში მინიმუმ 150 წუთ ზომიერ ფიზიკურ აქტივობას — ეს გვიცავს მთელი რიგი ქრონიკული დაავადებებისა და ვადამდელი სიკვდილისგან. კოლეგებმა ვენის უნივერსიტეტიდან, რომლებმაც გამოიკვლიეს რამდენიმე ათასი კაცი, დაადგინეს, რომ კვირაში 1 საათის ვარჯიშები ამცირებენ ქრონიკული დაავადებებისაგან ვადამდელი სიკვდილის რისკს 4 პროცენტით, კვირაში 2 საათისა ამცირებს მას 6 პროცენტით, 3 საათისა — 9 პროცენტით, 300 წუთისა — 39 პროცენტით.

ЗАЛОГЪ

დაინჯესტი

ამერიკელთა შეფასებით

ვაშინგტონში ტრადიციული ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნეს, რომელიც მსოფლიოში რელიგიების თავისუფლებას ეხება.

ყველაზე მეტად რელიგიური თავისუფლება შეზღუდულია ირანში, ჩინეთში, კორეის სახალო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მიანმაში, საუდის არაბეთში, სუდანში, უზბეკეთსა და ერიტრეაში. ამ ქვეყნებში რელიგიური მრწამსისთვის თავისუფლად შეიძლება ციხეში მოხვედრა.

ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თავად ამერიკის შეერთებული შტატები ემიგრანტების ქვეყანაა, სახელმწიფოს შემქმნელი კონფესიური ტრადიციები არა აქვს, ხოლო ევროპაში ისინი არსებობს. მათდამი სხვადასხვა პოზიციიდან მიდგომაც სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული.

სამსხვერპლოზეა... პირამიდები

ეგვიპტელი ისლამისტები აცხადებენ, რომ პირამიდების — „წარმატებული ძეგლების“ — ადგილი ქვეყანაში არ არის.

ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანების“ ზომიერი ფრთის წარმომადგენელი ეგვიპტეს ახალი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი ხელისუფლების სათავეში ერთი თვის წინათ მოვიდა. ამ მოკლე ხანში ქვეყნის ლიდერი თავის გაცილებით რადიკალური მომხრეების მხრიდან ძლიერ ზეწოლას განიცდის, რომლებიც მას „ისლამის ფასეულობათა საქმით დაცვისკენ“ მოუწოდებენ. საამისოდ კი ისინი მისგან პირველ ნაბიჯად... უხსოვარ დროს აგებული პირამიდების აფეთქებას მოითხოვენ!

სხვებზე მეტი დაჟინებით ამ მოთხოვნას „სუნიტთა შეხთა შეიხი“ და, ამავდროულად, ისლამური პარტიის „ნაციონალური ერთობის“ პრეზიდენტი აბდ ალ-ლატიფ ალ-მაჰმუდი გამოდის. ფარაონთა აკლდამებს შეიხი „წარმართობის საზარელ სიმბოლოებს“ უწოდებს, რომლებიც აღგვილ უნდა იქნეს პირიდან ეგვიპტური მიწისა. პრეზიდენტი მუს-

რი ჯერჯერობით სდუმს, მაგრამ რიგითმა ეგვიპტელებმა უკვე შექმნეს სახალხო მოძრაობა, რომლის მიზანია ქვეყნის სიმბოლოების დაცვა.

არადა, საფრთხეს სავსებით რეალური საფუძველი აქვს, რადგან მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტები უკვე ყოფილა. კერძოდ, 2001 წელს ავღანეთში თალიბებმა ბუდას ორი უზარმაზარი ქანდაკება ააფეთქეს, რომელთა ასაკი 1500 წელზე მეტი იყო. რამდენიმე კვირის წინათ კი მაროკოს ჩრდილოეთში ისლამისტებმა ძველი მუსლიმანური მავზოლეუმები გაანადგურეს, რომლებიც იუნესკოს მიერ მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად იყო აღიარებული. მათი აზრით, წმინდანთა თაყვანისცემა არ შეიძლება — ეს პატივი მხოლოდ ალაჰსა და მის წინასწარმეტყველს ეკუთვნის.

გეზი მთვარისკენ

რუსეთი მთვარეზე კოსმოსური ექსპედიციის გაგზავნას გეგმავს. ახალი ექვსადგილიანი ხომალდისთვის ამჯერად სხვადასხვა ვარიანტს განიხილავენ. როსკოსმოსის თავკაცის ვლადიმერ პოპოვკინის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ სახეს მიიღებს ექსპედიცია: იქნება ეს ავტონომიური მისია, სადგური დედამიწასა და მთვარეს შორის, თუ სადგური მთვარის უხილავ მხარეს განთავსდება.

— სულაც არ ვცდილობთ, მთვარის კვლევაში ამერიკელთა მიღწევების გამეორებას, — განაცხადა რუსეთის აკადემიის კოსმოსურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორმა ლევ ზელიონიმ. — თავდაპირველად ვგეგმავთ მთვარისკენ სხვადასხვა დანიშნულების კოსმოსური ხომალდების მთელი სერიის გაშვებას. მათ შორის იქნებიან ავტომატური სადგური „მთვარე-გლობი“ და რუსეთულ-ინდური ზონდი „მთვარე-რუსურსი“, რომლებიც, შესაბამისად, 2014 და 2015 წლებში დედამიწის ბუნებრივი



თანამგზავრის პოლუსებზე გაფრინდებიან. მთვარის პოლარულ რაიონებში აღმოჩენილია წიაღისეული წყლის ყინულის საბადოები, რაც 2019-2020 წლებში იქ სამეცნიერო ბაზების აშენების შესაძლებლობას იძლევა. ზოგადად კი, მთვარის პოლარული მხარეები სხვადასხვა დანიშნულების ასტრონომიული სადგურების შესაქმნელად იდეალური ადგილებია.

„ავატარი“... იაკუტიიდან

იაკუტიის კულტურის მინისტრმა, რეჟისორმა ანდრეი ბორისოვმა განაცხადა, რომ კინოს ისტორიაში ყველაზე საკასო ფილმი, ჯეიმს კემერონის „ავატარი“... იაკუტური სახალხო ეპოსის „ოლონჰოს“ პლაგიატია.

ეს განცხადება მინისტრმა იუნესკოს მიერ იაკუტიაში ჩატარებულ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შედევრების ფესტივალზე გააკეთა. „ოლონჰო“ აღნიშნულ შედევრთა ჩამონათვალში შეტანილია და 15 ათას გალექსილ სტრიქონს მოიცავს. ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კემერონს იაკუტური ხალხური ეპოსი წაკითხულო ჰქონდეს, მაგრამ მისი ფილმი შორეულ პლანეტაზე მცხოვრები ხალხის ნაუ ვის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრობს და დედა-ქალღმერთ ეივას ეთაყვანება. როგორც ჩანს, ბორისოვიც სწორედ ამ მომენტს მოეჭიდა, რადგან „ოლონჰოში“ არაერთი თქმულებაა, რომელშიც „აიიის“ (დედამიწელთა) ტომის ამბავია მოთხრობილი, რომელიც შუაგულ სამყაროში ბინადრობს. მაგრამ, კერძოდ რომელი სიუჟეტის ეკრანიზაცია მოახდინა ჯეიმს კემერონმა, ეს გარემოება იაკუტ მინისტრს არ დაუკონკრეტებია.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

მიხოს რადიკულიტი აწუხებდა, მაგრამ უსაქმოდ მაინც ვერ გაჩერდა და მორზე ჩამომჯდარი ზელდა ცემენტს. იქვე ჭილოფზე წამოწოლილი მისი ვაჟიშვილი კი სიგარეტს აბოლებდა.

— რა არის, მიხო, დამჯდარი რომ მუშაობ? — შეეკითხა მეზობელი.

— აბა, დაწოლილმა მუშაობამ რა შედეგიც მომცა, კი ხედავ აგერ, — ჭილოფისკენ მიახედა მიხომ.

* * *

მოხუცი ქალი ძროხას ყიდდა.

— რას იწველება თქვენი ძროხა, ბებია?

— რძეს, ნენა.

* * *

მანასემ ტაქსის მძღოლს სთხოვა.

— მაინც ქვევით მიდიხარ და მეც წამოგყვები.

— ქვევით სუფსაც მიდის და გაყევი!

* * *

— **ძალიშვილო**, გიყურებთ და სიტყვები არ მყოფნის!

— ფული გაქვთ სამყოფი?

ჩვენი პრესდაინჯესტი

ვაკეთინოთ ბოლოებიანთან

დაფიძრდი, სააკაშვილო, ამდენი ხალხის სისხლს არ შეგარჩენენ!

— აფრთხილებს საქართველოს პრეზიდენტს იჩქერიის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ხიზრი ალდამოვი, — მთელმა მსოფლიომ იცოდა, ყველას ეგონა, რომ საქართველო დაიწყებდა რუსეთთან ომს, ამიტომ მუსლიმანურმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ბოევიკებისთვის ფულის მიცემა და თანხა იგზავნებოდა სააკაშვილის ბანაკებში. ზოგი ისედაც მოსდიოდა მინისტრების გზით. ამერიკამ რამდენჯერ გამოუგზავნა ფული, ასე ჩაიგდო ხელში ეს გზა სააკაშვილმა. ამერიკა და მუსლიმანური ქვეყნები დიდ თანხას უგზავნიდნენ საქართველოს.

„საქართველო და მსოფლიო“.

ინტერვიუ რეზო ამაშუკელთან

კვლავაც მახვილგონივრულად, კვლავაც შინაგანი ტკივილით საუბრობს პოეტი: „საჩხერეში ჩინელ „როსტომ წერეთელს“ მაღაზია უყიდია, მალე შვილი უნდა შეეძინოს თურმე და აკაკი უნდა დავარქვაო, იძახის... ერი შევიკრიბოთ და დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ. ყოველგვარი იარაღის, ტყვიის და ასეთი რამეების გარეშე გამოვიდეთ გარეთ და ჩუმად დავდგეთ. არ ჯობია ერთხელ დავიხოცოთ, ვიდრე ამას ვუყუროთ მთელი ცხოვრება?

„საერთო გაზეთი“.

„ჩვენზე რომ ამბობენ, ომის დროს გაიძცნენო, ეს მართლა ცილისწამებაა და ყველას პასუხს მოვთხოვთ!“

— აცხადებს პარლამენტის ვიცესპიკერი გიგი წერეთელი, — ომის დღიდან თვენახევარი არ გვიძინია, ჰუმანიტარულ შტაბს ვხელმძღვანელობდი, კოლეგებთან ერთად დღე და ღამე ხალხთან ვიყავი და ამ ცხვირმოუხოცავებმა ახლა საზოგადოება უნდა ატყუონ? ესენი მართლა კურდღლები არიან, ვინც ჩირგვში იჯდა, ზოგიერთი სახლში პურ-მარილს ამზადებდა, რუსები მოდიანო.. ვინც ტყუილების და სისულელეების ტირაჟირებითაა დაკავებული, ბუნებრივია, პასუხს მოვთხოვთ!

„ვერსია“.

„მეეჭვება არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს“

— ფიძრობს სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი, — ერთი რაღაც გამახსენდა ამ არჩევნებთან დაკავშირებით: ნანა დევდარიანი რომ წერს და მე აბსოლუტურად ვეთანხმები მას, რომ მის დროს, როდესაც ის ცესკოს თავმჯდომარე იყო, ამომრჩეველი იყო 3 მილიონ 200 ათასი. დღეს ამბობენ, რომ 3 მილონ 600 ათასზე მეტიაო. კი მაგრამ, ჩვენ რამდენი ხანია ვამბობთ, მარტო რუსეთშია ჩვენი მილონნახევარი მოსახლეობაო, მარტო საბერძნეთში სამი წლის წინათ იყო 300 ათასი. მას შემდეგ რამდენი დაემატა. ამას დაუმატეთ ევროპის სხვა ქვეყნები და, თუნდაც, გადავიდეთ ამერიკაში... ესენი ტოტალური გაყალბებისთვის ემზადებიან.

„ახალი თაობა“.

„კარვის ძალებიდან“ „ზონდერ-ძალებამდე“

პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ზონდერ-ქალების“ ვინაობას ასახელებს: „ქალბატონებთან, მძიმე სოციალური ფონის გამო, უფრო ადვილად ახერხებენ გარიგებას და მათზე ზემოქმედებას. ეს ქალები გაფორმებული არიან არარსებულ სამსახურში მზარეულებად, მრეცხავებად და მათ ხელფასი 100-დან 1500 ლარამდე მერყეობს. ზურაბ რომელაშვილს, მთავარ „მაყურებელს“, ჯამაგირი 1500 ლარი აქვს, იმ ქალებს კი, ვისაც კაპასობა და უზრდელობა ევალებათ, — 100-100 ლარი.

„ძართული სიტყვა“.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქოჯულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24